ISSN 0132-59



# სპორტული სამართალი


1981



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

**ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი**

დაბადების 75-ე წლისთავისათვის

**კანონი ცოცხლობს, მოქმედებს**
**მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება.**

ლ. ი. ბრეჟნევი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# საბჭოთა სამართალი

№ 6

ნოემბერი
დეკემბერი

1981 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

## შინაარსი

## СОДЕРЖАНИЕ





**რედაქციის მისამართი, თბილისი, კლეხანოვის ქ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.**

გადაეცა ასაწყობად 15.12.81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.1.82 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 3149 ტირაჟი 15 100 უე 08701

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მუშაობის შესახებ

1981 წლის 1 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მუშაობის საკითხი და მიიღო ვრცელი დადგენილება.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია გარკვეულ მუშაობას ეწევა მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების დარგში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჟურნალი სათანადოდ ვერ უწყობს ხელს რესპუბლიკაში დისციპლინის, მართლწესრიგის და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას.

ჟურნალის ფურცლებზე სათანადო ასახვას ვერ პოულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბევრი უმნიშვნელოვანესი დადგენილება, კერძოდ, დადგენილებანი „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების ამზრდელობითი ზემოქმედების შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, „ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს მუშაობა ახალი კანონმდებლობის პროპაგანდისათვის. ბევრი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება რედაქციას სრულიად გამორჩა მხედველობიდან.

არ შუქდება პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ჟურნალი არ ასახავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფის საქმიანობას მართლწესრიგის, დისციპლინის და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების დარგში.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, რომელიც საქართველოს სსრ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს ორგანოა, მათი საქმიანობის გაშუქებისას სჭერდება ინფორმაციული ცნობების გამოქვეყნებას, არ რეაგირებს ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, შეცდომებსა და ხარვეზებზე, არ იჩენს ამ საქმეში ინიციატივასა და აქტიურობას.

ამ ბოლო წლების მანძილზე არ კამოქვეყნებულა პროკურორის, მოსამართლის, გამომძიებლის, იურისკონსულტის, ადვოკატის, ნოტარიუსის არც ერთი სტატია მათი პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე. იშვიათად გამოდიან ჟურნალში პარტიული, საბჭოთა მუშაკები. არ არის მოცემული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები სახალხო მეურნეობაში სამართლის როლის ამაღლების შესახებ. ამასთან, ჟურნალი გადატვირთულია თეორიული სტატიებით, რომლებიც მოწყვეტილია სამართალდამცველი ორგანოების პრაქტიკულ ამოცანებს.

ჟურნალის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში არ არის ზუსტი სისტემა, თემატიკური დაგეგმვა ფორმალურად წარმოებს, არ არის მუდმივი რუბრიკები. ჟურნალი ჟანრობრივად ერთფეროვანია. დაუდევარი რედაქტირების შედეგად ხშირია ფაქტობრივი შეცდომები. დაბალია პუბლიკაციების ლიტერატურული დონე.

ყოველთვის არ არის დაცული მასალების მომზადებისა და დასაბეჭდად ჩაბარების გრაფიკი. ჟურნალი ხშირად 1-2 თვის დაგვიანებით გამოდის.

რედაქცია ჯეროვნად არ აწარმოებს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას: რეგულარულად არ ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, აქტუალური პრობლემების განხილვა ავტორთა აქტივთან. პრაქტიკულად ჟურნალის რედაქცია თავის მუშაობაში ყოველთვის არ ეყრდნობა საზოგადოებრივ აზრს, არ აანალიზებს და არ ითვალისწინებს თავისი მკითხველების მოთხოვნებს.

სუსტია კონტროლი გამოქვეყნებული მასალების ქმედითობისადმი, რის გამოც ჟურნალის ცალკეული გამოსვლების საზოგადოებრივი რეზონანსი დაბალია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეს ნაკლოვანებები ჟურნალის ხელმძღვანელობის და სარედაქციო კოლეგიის სუსტი მუშაობის პირდაპირი შედეგია. კოლეგიის სხდომებს იშვიათად იწვევენ და ისინი ფორმალური ხასიათისაა.

ჟურნალის საქმიანობას კონტროლს არ უწევენ რესპუბლიკის პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო და იუსტიციის სამინისტრო. მაგალითად, 1979-81 წლებში ჟურნალის მუშაობის საკითხი არც ერთხელ არ განხილულა კოლეგიების სხდომებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დასახა ღონისძიებანი ჟურნალის საქმიანობის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის.

სამდივნომ არასაკმარისად მიიჩნია საქმიანობა, რომელსაც ჟურნალი „საბჭოთა სამართალი" (მთ. რედაქტორი ამხ. ო. კაციტაძე) ეწევა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ", სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა მათთვის მინდობილი ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელობის დარგში.

საქართველოს სსრ პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოს დაევალათ განიხილონ სარედაქციო კოლეგიის განმტკიცების საკითხი.

ჟურნალის რედაქციას, სარედაქციო კოლეგიას წინადადება მიეცათ დარაზმონ შემოქმედებითი კოლექტივი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით:

— ჟურნალის მთავარ მიმართულებად აქციონ სამართლის დარგში პარტიისა და მთავრობის დადგენილებების ქმედითი პროპაგანდა, გააშუქონ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი პრაქტიკული მსვლელობა და შესრულება;

ყოველმხრივ გააანალიზონ საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი; სისტემატურად გააშუქონ და პროპაგანდა გაუწიონ პროკურორების, სახალხო მოსამართლეების, გამომძიებლების, ადვოკატების, იურიდიული სამსახურის მუშაკების, მოკავშირე რესპუბლიკების სამართალდამცველი ორგანოების დადებითს გამოცდილებას სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის, ფორმებისა და მეთოდების დარგში; რეგულარული მუშაობა გასწიონ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდისა და განმარტებისათვის, სამართალდამცველი ორგანოების მოღვაწეობის პრაქტიკაში საკანონმდებლო ნორმების სწორი გამოყენების ანალიზისათვის;

მჭიდრო და მუდმივი კონტროლი დაამყარონ ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებთან, უფრო ფართოდ გააშუქონ ჟურნალში მათი მუშაობის პრაქტიკა: განახორციელონ ღონისძიებანი ავტორთა აქტივის გასაფართოებლად, სისტემატურად გაითვალისწინონ მკითხველთა საზოგადოებრივი აზრი, მოაწყონ მკითხველთა კონფერენციები, „მრგვალ მაგიდასთან" შეხვედრა-განხილვები, დისკუსიები;

გააძლიერონ კონტროლი პუბლიკაციების, კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ქმედითობისადმი;

— გააფართოონ თემატიკა, მისი ფორმირება მოახდინონ სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან კონტაქტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას დაევალა ხელი შეუწყოს ჟურნალის პოლიგრაფიული ხარისხის გაუმჯობესებას და მისი გამოშვების გრაფიკის დაცვას.

სამდივნომ ცნობად მიიღო, რომ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქციის აპარატის საშუალო პრობები გაუმჯობესდება საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისათვის სათანადო შენობის გამოყოფის შესახებ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებებს.

# ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ ახალი, დიდი ამოცანების წინაშე

ჩვენი ჟურნალის იდეურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიმდინარე წლის 1 დეკემბერს იმსჯელა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მუშაობის შესახებ და მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელსაც სახელმძღვანელო, საპროგრამო მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ჟურნალისათვის, არამედ საქართველოს მთელი იურიდიული საზოგადოებრიობისათვის.

ჟურნალის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მისი საქმიანობა ასე დეტალურად შეისწავლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამის წყალობით მიღებულია ჩვენთვის საგულისხმო პარტიული დოკუმენტი, რომელშიც პრინციპულად, კრიტიკულად არის შეფასებული ჟურნალის ავ-კარგი, დასახულია ღონისძიებები, რომელთა განხორციელება უთუოდ შეუწყობს ხელს მისი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას, ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებას.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიერ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ საქმიანობის განხილვა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა სერიოზულ ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა საშუალების გამოყენებას. ამ საქმეში კი მართლაც დიდი როლი აკისრია ჩვენს ჟურნალს, რომლის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებთან ერთად იდეოლოგიურად უზრუნველყოს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და სამართალდამცველი ორგანოების მიერ დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და შემცირების მიზნით შემუშავებული ღონისძიებების განხორციელება.

ჟურნალის კრიტიკა, თითქმის ყველა შენიშვნა, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებაშია მოცემული, სამართლიანი და უყოყმანოდ მისაღებია. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ჟურნალი ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა დაუსახა მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს, კერძოდ კი იურიდიულ პერიოდიკას. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვახდენთ სერიოზულ ზეგავლენას სასამართლო-პროკურატურის და იუსტიციის დაწესებულებების მუშაობის სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე.

სადავო არ არის, რომ ჩვენ სათანადოდ ვერ განვუმარტეთ და ჯეროვნად ვერ გავაცანით მკითხველებს ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი უმნიშვნელოვანესი დადგენილებები. მხედველობაშია, კერძოდ, დადგენილებები „ქურდობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

დამნაშავეობასთან ბრძოლის დღევანდელი ვითარება მოითხოვს, რომ ჟურნალმა მეტი ყურადღება დაუთმოს ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფის საკითხებს, დადებითი გამოცდილების შესწავლასა და პოპულარიზაციას, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის მეცნიერულ განზოგადებას, პროკურატურისა და სასამართლო ორგანო-

ების დასაბუთებულ და სოლიდურ კრიტიკას, ბიუროკრატიზმის ფაქტების გამოვლენასა და აღმოფხვრას.

სრულიად სამართლიანია ის დებულება, რომ აუცილებელია რედაქციამ განამტკიცოს კავშირი პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, განახორციელოს ღონისძიებანი ავტორთა წრის გასაფართოებლად. ამ უკანასკნელ საკითხს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ჩვენი ავტორების „გეოგრაფია" მეტისმეტად შეზღუდულია. სრულიად შეუწყნარებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე ადმინისტრაციული ორგანოების საქალაქო და რაიონული რგოლიდან ჟურნალში ითანამშრომლა მხოლოდ შვიდმა კაცმა. საჭიროა ჩვენს ჟურნალში თანამშრომლობისათვის უფრო ფართოდ ჩავაბათ რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, სოციოლოგები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, იმ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები, რომლებსაც კარგი წონაცემები აქვთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორია ისიც, რომ ჟურნალში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს პრაქტიკის საკითხებს, უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოვიყენოთ ჟურნალის ფართობი. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ ჟურნალის პერიოდულობა და მოცულობა ძალზე განსაზღვრულია და უახლოეს ხანში არც არის მოსალოდნელი მდგომარეობის შეცვლა. ამას ისიც ემატება, რომ არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომლის მიხედვითაც აღარ შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ ეკონომიური შრიფტები, ე. წ. პეტიტები, რომელიც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუწყნარებელია თვალის ჰიგიენის თვალსაზრისითაც.

ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს ჟურნალის კოლექტივის შრომის ორგანიზაცია. ის, რომ შტატში რედაქტორის ჩათვლით სულ ხუთი მუშაკია და მათგან მხოლოდ სამია იურიდიული განათლების მქონე, უფრო მეტს გვავალებს. უნდა ავამაღლოთ რედაქციის უკლებლივ ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა, შევქმნათ ურთიერთწომთხოვნელობის, ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის ატმოსფერო, ბოლო მოვუღოთ ჟურნალის დაგვიანებით გამოსვლის ფაქტებს.

ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაც, გადავაქციოთ იგი უფრო მობილურ ორგანოდ, რომელიც რედაქციასთან ერთად იკისრებს პასუხისმგებლობას ჟურნალის მიმართულებისათვის მისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

მოსაგვარებელია ბევრი სხვა ორგანიზაციული საკითხიც, მაგალითად, საჭიროა მოეწყოს მკითხველებთან და ავტორთა აქტივთან სისტემატური შეხვედრები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, ჟურნალის თემატიკის შედგენისა და ცალკეული ნომრების დაგეგმვისას უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი აზრი, საჭიროა ზეპირი ჟურნალების გამოშვება, სწავლულ და პრაქტიკულ მუშაკებთან შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან აქტუალური სადავო სანართლებრივი თემების განხილვისათვის და სხვა მასობრივი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ჟურნალის კულტურის ამაღლებას, მისი მუშაობის გაუმჯობესებას, ტექნიკურ და პოლიგრაფიულ სრულყოფას.

ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ძალიან ბევრია იმისათვის, რომ ჟურნალი მთლიანად აკმაყოფილებდეს იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებიც მას წაყენებული აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ", აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთი დადგენილებით დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

რედაქციის აპარატმა უკვე დასახა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ამ დადგენილების მიხედვით უახლოეს ხანში მუშაობის რადიკა-

ლურ გარდაქმნას. გათვალისწინებული გვაქვს უახლოეს ხანში შევხვდეთ საქართველოს სსრ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს კოლექტივებს, სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ორგანოების აქტივს და მათთან ერთად შევიმუშაოთ ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ამ დადგენილების შესრულებისათვის.

უახლოეს დღეებში გაიმართება ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ახალი შემადგენლობის სხდომა ავტორთა აქტივთან ერთად, რომელზეც ვიმსჯელებთ ამ დადგენილების შესახებ. დადგენილებას განვიხილავთ აგრეთვე რედაქციის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქცია სარედაქციო კოლეგიის, ავტორთა აქტივის, რესპუბლიკის პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს დახმარებით, საქართველოს იურიდიული საზოგადოების თანადგომით, ყველაფერს იღონებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1981 წლის 1 დეკემბრის დადგენილების შესასრულებლად, უზრუნველყოფს ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებას, ახალი ამოცანების შესაბამისად თავისი საქმიანობის გაუმჯობესებას.

# არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში

ა. მიქაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება მხოლოდ ნებელობით მოქმედებას, ე. ი. ისეთ მოქმედებას, რომელიც გაცნობიერებულია დამნაშავის მიერ და წარმოადგენს მისი ხების გამოხატულებას. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი არ არის ისეთი დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც ჩადენილია არაპირდაპირი განზრახვით და რომლის ნებელობითი ბუნების ზუსტად გაგებას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საბჭოთა სისხლის სამართალში. მაგრამ თუ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგება ძნელი არ არის, სამაგიეროდ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგება ერთგვარად გაძნელებულია.

ცნობილია, რომ არაპირდაპირი განზრახვით ხელყოფის ობიექტისათვის მიყენებული მავნე ცვლილებები ყოველთვის წარმოადგენს დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის არა ძირითად, არამედ თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს. ამ შედეგების მიმართ კი პირს არასდროს არა აქვს არც მოთხოვნილება და არც სურვილი. უამისოდ საბჭოთა ფსიქოლოგიის მიხედვით კი არ ჭრის და არც შეიძლება იყოს არავითარი ნებელობითი ქმედობა.

საბჭოთა კრიმინალისტებს შორის ამის გამო წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა. კრიმინალისტთა ერთი ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში არ არის ქმედობის მიზანმიმართულება. „მიზნის ნათელი დაყენება, ქმედობის მკაფიოდ გამოხატული მიზანმიმართულება, — წერს მაგალითად, ვ. გ. სმირნოვი, — არის ხოლმე მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს. არაპირდაპირი განზრახვის დროს არ შეიძლება ლაპარაკი მიზანმიმართულებითი ნებელობითი მოქმედების შესახებ, „წმინდა სახით"[1].

მაგრამ ასეთი შეხედულება მცდარია. ქმედობის ნებელობითი ბუნების უარყოფა არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში, როგორც წესი, იწვევს ამ ქმედობის წმინდა ნორმატიულ გაგებას, რაც, რა თქმა უნდა, მცდარია.

კრიმინალისტთა ერთი ჯგუფი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის ნებელობითი ბუნება დამახასიათებელია ყველა დანაშაულისათვის, სულ ერთია ჩადენილია იგი განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, მაგრამ თვითონ ამ ნებელობითი ბუნების შინაარსს ისინი გადმოსცემენ სხვანაირად. მაგალითად, იხილავს რა დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობით ბუნებას, თ. ვ. წერეთელი ასკვნის: „ამრიგად, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ადამიანის ნებელობითი ქცევა, საკმარისია, რათა გამოვლენილ იქნეს რომელიღაც ნება, და სრულებით არ არის საჭირო, რათა ეს ნება ეხებოდეს სწორედ ჩვენთვის საინტერესო შედეგს. ეს გვაძლევს შესაძლებლობას დადებითად ვუპასუხოთ კითხვაზე ნებელობითი ქცევის არსებობის შესახებ არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით დანაშაულთა დროს".[2]

მაგრამ დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის ნებელობითი ბუნების ასეთი გაგება, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსიდან საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების გამორიცხვა და იმის აღიარება, რომ ასეთი დამოკიდებულება დამნაშავის ნების გარეშე არსებობს, ყოვლად დაუშვე-

---

[1] **В. Г. Смирнов.** — Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. Рецензия. «Правоведение», 1957, № 1, стр. 155.

[2] **Т. В. Церетели.** Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 27.

ბელია. ამ თვალსაზრისით გამოდის, რომ პირი, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით სჩადის დანაშაულს, იმ ნებისთვის კი არ აგებს პასუხს, რომელიც მან მისი ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი გამოავლინა, არამედ რაღაც გაურკვეველი ნებისთვის, სულ ერთია, რასაც უნდა ეხებოდეს იგი.

დაახლოებით ასეთსავე თვალსაზრისს ავითარებს ბ. ს. ვოლკოვიც, რომელიც ამტკიცებს, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა ნებელობითია, მაგრამ, როგორც შემდეგ დავინახავთ, არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროს ამ საკითხს იგი მცდარად გადმოცემს. ბ. ს. ვოლკოვი სამართლიანად წერს, რომ „მიზანმიმართულება წარმოადგენს ყოველგვარი ნებელობითი ქცევის დამახასიათებელ ნიშანს“[3]. „მაგრამ, — იქვე სვამს კითხვას, — როგორ შევათავსოთ ეს დებულება იმას, რომ ყოველი დანაშაული წარმოადგენს ნებელობითს აქტს? სისხლის სამართლის კანონი ხომ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს არა მარტო ისეთი მოქმედებისთვის, რომელიც ჩადენილია პირდაპირი განზრახვით და ზუსტად ნებელობითია, არამედ ისეთი მოქმედებისთვისაც, რომელიც ჩადენილია გაუფრთხილებლობით, როდესაც პირს არათუ არ სურს შედეგების დადგომა, არამედ ხშირად ვერც კი ითვალისწინებს მათ. შეიძლება თუ არა ნებელობითი ვუწოდოთ დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელიც ჩადენილია საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის მიზნის არარსებობის დროს? როგორ დავასაბუთოთ დანაშაულის ნებელობითი ცნების თვალსაზრისით პასუხიმგებლობა გაუფრთხილებელი ბრალისთვის? სავსებით ცხადია, რომ ამ საკითხების გაურკვევლად დანაშაულის ნებელობითი ხასიათის პრობლემა არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს“[4].

მაგრამ როგორ წყვეტს დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების საკითხს ბ. ს. ვოლკოვი არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს?

მისი აზრით, რაკი არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს ხელყოფის ობიექტისათვის მიყენებული მავნე ცვლილებები ქმედობის თანამდევი შედეგებია და მოკლებულია მიზანს, ამდენად ქმედობის ნებელობითი ხასიათი უნდა ვცნოთ მხოლოდ თვითონ დამნაშავის მოქმედებაში. „პრობლემა გადაწყვეტილად ჩაითვლება, — წერს იგი, — თუ დანაშაულის ნებელობითს შინაარს ჩვენ მოვძებნით არა ადამიანის მოქმედების თანამდევ შედეგებში, არამედ თვით ამ მოქმედებაში“.[5] და შემდეგ: „კანონსაწინააღმდეგო ქცევაში, როგორც საერთოდ ადამიანის ყოველ მოქმედებაში, არსებობს და არც შეიძლება არ არსებობდეს სასურველი შედეგები. მაშასადამე, ნების განსაზღვრის ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ დადგინდეს, რით ხელმძღვანელობდა პირი, როდესაც ჩაიდინა ეს მოქმედება და რა მიზანს ისახავდა იგი. ამ საკითხის გადაწყვეტა სიძნელეებს არ იწვევს, როდესაც ვეხებით განზრახ დანაშაულს. პირდაპირი განზრახვის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, წარმოადგენს რა მიზანს ან მიზნის მიღწევის საშუალებას, უშუალოდ განსაზღვრავს დანაშაულის ხასიათს. ამ შემთხვევაში ნება სრულ შესაბამისობაშია დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან. სხვანაირად არის საქმე არაპირდაპირი განზრახვით, თვითიმედოვნებით და დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დროს. ამ ქმედობათა განსაკუთრებულობა, როგორც აღინიშნა, ის არის, რომ მათში საზოგადოებრივად საშიში შედეგი გვევლინება არა როგორც მიზანი, არამედ როგორც დანაშაულებრივი მოქმედების თანამდევი შედეგი. ამიტომ ამ დანაშაულთა ნებელობითი აზრის განსაზღვრაში სიმძიმის ცენტრი უნდა გადატანილ იქნეს თვით მოქმედების ხასიათთან ნების თანაფარდობაზე. არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ ქმედობებში და თვითიმედოვნების დროს დანაშაულის ნებელობითი შინაარსი მოცემულია მოქმედებებში, რომლებიც მიმართულია სხვა, დანაშაულებრივი თუ არადანაშაულებრივ მიზნების მიღწევისათვის“[6].

მაგრამ ეს მოსაზრებაც არ არის სწორი, როგორც დავინახეთ, ბ. ს. ვოლკოვის აზრით ღანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი შინაარსი მხოლოდ ქმედობის ძირითადი, მიზანდასახული შედეგის დადგომის სურვილით ამოიწურება. სხვა, თანამდევი შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსში არ შედის და, ამდენად, იგი ამ ნებელობითი შინაარსის გარეთ არსებობს. და რამდენადაც არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროს დანაშაულებრივი შედეგები ქმედობის თანამდევი, არასასურველი

---

[3] **Б. С. Волков.** Проблема воли и уголовная ответственность. Казань, 1965, стр. 35.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 40.

[6] იქვე, გვ. 41-42.

შედეგებია, ამდენად ისინი არ შედის ქმედობის ნებელობითს შინაარსში და ქმედობა ასეთ დროს იმიტომ არის ნებელობითი, რომ იგი მიმართულია მისი ძირითადი, მიზანდასახული შედეგის განხორციელებისათვის.

ჩვენი აზრით დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსის ასეთი ვიწრო გაგება აშკარად მცდარია. მცდარია არამარტო არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულობათა მიმართ, არამედ, თვით პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობათა მიმართ, სადაც ამ ქმედობათა ნებელობითს შინაარსში, გარდა ძირითადი შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულებისა, რაც მისი სურვილით გამოიხატება, შედის კიდევ სხვა ფსიქიკური მომენტები, რომელთა აღნიშნული შინაარსიდან გამორიცხვა არ შეიძლება.

გარდა ამისა გაუგებარია, თუ არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს დანაშაულებრივი შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება არ შედის ქმედობის ნებელობითს შინაარსში და, ამდენად, იგი მის გარეთ არსებობს, მაშინ როგორ აგებს პირი პასუხს იმ ნებისთვის, როცა მას სურდა მისი ქმედობის ძირითადი შედეგი?

ამრიგად, ჩვენი აზრით, ბ. ს. ვოლკოვი ვერ იძლევა დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსის სწორ გაგებას და ვერ ხსნის პირის პასუხისმგებლობის საკითხს არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს, რის გამოც მის თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ.

ამასთან დაკავშირებით სულ სხვა პოზიციაზე დგას კრიმინალისტთა სხვა ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა ნებელობითია, რომელიც გამოდის გარკვეული მოტივიდან და ისახავს გარკვეულ მიზანს[7], მაგრამ თუ როგორ უნდა იქნეს იგი გაგებული საერთოდ, განსაკუთრებით კი არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს, ამას ისინი ან არ ეხებიან, ანდა საკმარისად არ ასაბუთებენ, რის გამოც დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგების საკითხში მათი თვალსაზრისი სრულყოფილი ვერ არის და მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას.

რით აიხსნება ასეთი მდგომარეობა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში? რატომ ვერ ასაბუთებენ საბჭოთა კრიმინალისტები დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითს ბუნებას საერთოდ, განსაკუთრებით კი არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს? იმიტომ, რომ ისინი სწორად ვერ ხსნიან საბჭოთა სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსს.

რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ მათ ბრალის ნებელობითი ბუნების შინაარსი მცდარად აქვთ გაგებული, რაც იმით გამოიხატება, რომ ბრალის ნებელობითი ბუნების შინაარსს ყველა კრიმინალისტი ამოწურავს მხოლოდ იმ კომპონენტებით, რომლებიც საფუძვლების მე-8 და მე-9 მუხლებშია მოცემული. ეს კომპონენტები კი, თუმცა გარკვეულ როლს ასრულებს პირის პასუხისმგებლობის დადგენის საქმეში, მაგრამ ბრალის, როგორც ნებელობითი ფსიქიკური პროცესის, გასაგებად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რამდენადაც ისინი, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, ამ ფსიქიკური პროცესის მხოლოდ ნაწილია.

ჩვენი აზრით, ვისაც ბრალი ესმის არა როგორც ნებელობითი ფსიქიკური პროცესი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, იგი ვერასოდეს ვერ ახსნის დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითს ბუნებას, რადგან დანაშაულებრივი ქმედობის ფსიქოლოგიური შინაარსი და ბრალის ფსიქოლოგიური შინაარსი ერთი და იგივეა, და როგორც გაიგება ბრალის ფსიქოლოგიური მხარე, ისე გაიგება დანაშაულებრივი ქმედობის ფსიქოლოგიური ბუნება, უფრო მეტიც, იგი ვერ დაასაბუთებს ვერც დანაშაულის მოტივის და მიზნის და ნების თავისუფლების საკითხებს საბჭოთა სისხლის სამართალში, რომლებიც სწორედ ამ მიზეზის გამო დღემდე სრულყოფილად არ არის გაშუქებული საბჭოთა კრიმინალისტების მიერ.

ამრიგად, როგორ უნდა გავიგოთ არაპირდაპირი განზრახვის ნებელობითი ბუნების შინაარსი და ამასთან ერთად ბრალის ამ სახის დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსი, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, ერთი და იგივეა?

---

[7] См. Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 102; Советское уголовное право. Общая часть, М., 1974, стр. 173; **Н. Ф. Кузнецова.** Преступление и преступность, М., 1969, стр. 46—50; **С. А. Тарарухин.** Преступное поведение, социальные и психологические черты, М., 1974, стр. 60—74 и др.

ამ საკითხზე ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი. მაგალითად, ეხება რა არაპირდაპირი განზრახვის დროს ნებელობის საკითხს, ბ. ს. უტევსკი ამტკიცებს, რომ ბრალის ამ სახის დანაშაულში პირის ნება არსებობს მხოლოდ ქმედობისა და ამ ქმედობის ძირითადი, სასურველი შედეგების მიმართ. რაც შეეხება პირის ნებას ქმედობის თანამდევი დანაშაულებრივი შედეგების მიმართ, ასეთი, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში, მისი აზრით, არ არსებობს, რადგან პირს არ სურს ამ შედეგების დადგომა, ხოლო იქ, სადაც არ არის სურვილი, არც შეიძლება იყოს პირის ნება. ბ. ს. უტევსკის მიაჩნია, რომ ასეთ დანაშაულში თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ არსებობს მხოლოდ დამნაშავის შეგნება მათი დადგომის შესაძლებლობის ან აუცილებლობის შესახებ. „...ევენტუალური განზრახვის დროს, — წერს იგი, — დამნაშავეს აქვს ნება, რომელიც მიმართულია ქმედობის ჩადენისა და მისთვის სასურველი შედეგების დადგომისაკენ, და არ გააჩნია ნება მისთვის არასასურველი შედეგების დადგომისა. ამ შედეგების მიმართ დამნაშავეს აქვს მათი დადგომის შესაძლებლობის ან გარდაუვალობის შეგნება... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავის ცნობიერებაში არსებობს ნება და შეგნება სასურველი შედეგების მიმართ და მხოლოდ შეგნება — არასასურველი შედეგების მიმართ, ამასთან არასასურველი შედეგების შეგნება და მისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება კონფლიქტური გახდეს დამნაშავის ნებასთან, რომელიც მიმართულია სასურველი შედეგისაკენ"[8] და შემდეგ: „არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი პირის მთელი ნება მიმართულია სასურველი შედეგისაკენ. შინაგანად წინააღმდეგობებით აღსავსე მტკიცება იქნებოდა ის, რომ მისი ნება მიმართულია მისთვის არასასურველი შედეგებისაკენ, რადგან არასასურველის სურვილი (ნდობა) ფსიქოლოგიური უაზრობაა. შერაცხადუნარიან პირს არ შეიძლება სურდეს (ნებავდეს) თავისი მოქმედების არასასურველი შედეგები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მას"[9].

მაგრამ ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ვერ დავეთანხმებით იმას, რომ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში ნებელობის შინაარსი თითქოსდა ამოიწურებოდეს ქმედობის ჩადენისა და ამ ქმედობის ძირითადი, მიზანმიმართული შედეგის დადგომის სურვილით, დამნაშავის ნების ასეთი გაგება შეუძლებელს ხდის დავადგინოთ, თუ რით გამოიხატება პირის ბრალი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში. თუ იმით ვიხელმძღვანელებთ, რომ პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულებრივი ნებისთვის, რომელიც მან გამოავლინა დანაშაულებრივი შედეგისადმი, ასეთი ნება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში, ბ. ს. უტევსკის აზრით, არ არსებობს. უფრო მეტიც, როგორც ბ. ს. უტევსკი ამტკიცებს, დამნაშავის ნება არაპირდაპირი განზრახვის დროს შეიძლება კონფლიქტური კი გახდეს იმის შეგნებასთან, რასაც იგი აყალიბებს ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ.

არც ის შეიძლება ჩაითვალოს სწორად, რომ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ არსებობს მხოლოდ დამნაშავის შეგნება, და ნება კი არა, რამდენადაც მარქსისტული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მიხედვით პირის შეგნება და ნება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია და ერთიმეორის გარეშე არ არსებობს. „შეგნება და ნება, — წერს, მაგალითად, პ. ს. დაგელი, — განუყრელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთიმეორეს განაპირობებს"[10].

განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს კრიმინალისტთა სხვა ჯგუფი. მათი აზრით, მცდარია ის მოსაზრება, თითქოს არაპირდაპირი განზრახვის დროს ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება, რაც ამ შედეგების გათვალისწინებით და მათი შეგნებული დაშვებით გამოიხატება, დამნაშავის ნებელობის შინაარსის გარეთ არსებობდეს. ისინი ამტკიცებენ, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება და მათი შეგნებული დაშვება შედის დამნაშავის ნებელობის შინაარსში, რომელიც ამის გამო არ ამოიწურება მარტო ქმედობის ძირითადი შედეგის სურვილით და, ამდენად, ამ თანამდევი შედეგებისადმი ჩამოყალიბებული ფსიქიკური დამოკიდებულება ნებელობითია. ამ შეხედულებას ავითარებენ ვ. გ. მაჟაშვილი და პ. ს. დაგელი.

---

[8] **Б. С. Утевский.** Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 256—257.

[9] იქვე, გვ. 257.

[10] **П. С. Дагель, Д. П. Котов.** Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, стр. 98.

ზემოაღნიშნულ შეხედულებას რომ აყალიბებს, ვ. გ. მაყაშვილი წერს: „ნებელობის შინაარსში შედის არა მარტო ის, რასაც ემოციური მიმზიდველობა აქვს, რასაც ესწრაფვის დამნაშავე, და საშუალება, რომლითაც ის ფიქრობს ამის მიღწევას, არამედ ის შესაძლებელი საზოგადოებრივად საშიში ცვლილებები გარე სამყაროში, რომლებსაც იგი კი არ უკუაგდებს, არაწედ მხედველობაში იღებს, როგორც მისი ძირითადი მოქმედების თანმხლებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის საზოგადოებრივად საშიში შედეგები, რომელთა დადგომას პირი. კანონის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „უშვებს". ამით გამოიხატება არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ელემენტი"[11].

იზიარებს რა ამ შეხედულებას, პ. ს. დაგელი აღნიშნავს: „ნებელობითი აქტის ცნება არ ამოიწურება სურვილით, იგი გაცილებით უფრო ფართოა... დანაშაულებრივ შედეგს არაპირდაპირი განზრახვის დროსაც შეგნებულად და „ნებისმიერად" წარმოშობს სუბიექტი. სუბიექტი, რომელიც ითვალისწინებს თავისი ქმედობის შესაძლებელ თუ აუცილებელ თანამდევ შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას, რომ იმოქმედოს, მიუხედავად მათი საზოგადოებრივად საშიში ხასიათისა, ამით თავს მათ თავის ნებელობითს აქტში, რის გამოც ისინი ამ აქტის შემადგენელი ნაწილი ხდებიან"[12].

ჩვენი აზრით, ასეთი თვალსაზრისიც მართებულად ვერ ჩაითვლება. სავსებით ვეთანხმებით ვ. გ. მაყაშვილსა და პ. ს. დაგელს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნებელობის შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს განმარტებულია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ, როგორც შემდეგ დავინახავთ, არსებითად ისინი ვერ ხსნიან საბჭოთა სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვის და საერთოდ ბრალის ნებელობითი ბუნების შინაარსს.

როგორც ვ. გ. მაყაშვილს, ისე პ. ს. დაგელს მიაჩნიათ, რომ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება და მათი შეგნებულად დაშვება იმიტომ არის ნებელობითი, რომ ისინი შედის პირის გადაწყვეტილებაში — იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით, მაგრამ არაპირდაპირი განზრახვა, მათი აზრით, მთელ ამ ნებელობითს გადაწყვეტილებას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, სადაც გადაწყვეტილების სხვა კომპონენტები მის გარეთ მდებარეობს. ამას მოწმობს მათ მიერ სხვა შრომებში გამოთქმული მოსაზრებანი. მაგალითად, ეხება რა არაპირდაპირი განზრახვის დროს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობის ძირითადი შედეგისადმი, რაც მისი დადგომის სურვილით გამოიხატება, და უარყოფითს დამოკიდებულებას ამ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიშ შედეგებისადმი, ვ. გ. მაყაშვილი წერს: „ამ ფსიქიკურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევენტუალური განზრახვის ბუნების გასაგებად, მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ამ განზრახვის ნებელობით ელემენტებად, ესე იგი მის შემადგენელ ნაწილებად. ისინი ევენტუალური განზრახვის წარმოშობის ფსიქოლოგიური წანამძღვრებია და მის გარეთ მდებარეობენ"[13]. ხოლო, პ. ს. დაგელს მიაჩნია, რომ გაუფრთხილებლობის დროს „ქცევის ნავნე შედეგები არ არის პირის ნების საგანი"[14].

ამრიგად, როგორ უნდა გავიგოთ კონკრეტულად არაპირდაპირი განზრახვის და ბრალის ამ სახის დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსი საბჭოთა სისხლის სამართალში?

როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისათვის უცხოა დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების საკუთარი იურიდიული გაგება. ამ საკითხის შესწავლისას ძირითად დებულებებს იგი სესხულობს საბჭოთა ფსიქოლოგიიდან და ამ ქმედობის სისხლისსამართლებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით იყენებს მათ. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს საბჭოთა ფსიქოლოგია იძლეოდეს ყველა იმ დებულებას პირის მოქმედების შესახებ, რითაც დაინტერესებულია სისხლის სამართლის თეორია დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქ-

---

[11] **В. Г. Макашвили.** Понятие умысла в уголовном праве. «Вестник отделения общественных наук АН Груз. ССР». 1966, № 6, стр. 74.

[12] **П. С. Дагель, Д. П. Котов.** Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, стр. 104.

[13] ვ. მაყაშვილი. ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1965, № 4, გვ. 20 იხ. აგრეთვე მისი, Волевой и интеллектуальный элементы умысла, «Советское государство и право», 1966, № 7, стр. 108.

[14] **П. С. Дагель.** Неосторожность. Уголовно-правовые и криминологические проблемы, М., 1977, стр. 39.

მედობის ნებელობითი ბუნების შესწავლის საქმეში და ამგვარად, თითქოს საბჭოთა კრიმინალისტები თავისუფალი იყვნენ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობის ფსიქოლოგიური სტრუქტურის შესწავლისაგან.

მოქმედების, კერძოდ ნებელობითი მოქმედების შესწავლა უპირველესად ფსიქოლოგიის ამოცანაა. ზოგადი ფსიქოლოგია სწავლობს მას საერთო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, იხილავს მოქმედების ყველა იმ ნიშან-თვისებას, რომლებიც ადამიანის ყოველ მოქმედებას ზოგადად აქვს. ფსიქოლოგიის ისეთი ცალკეული დარგები, როგორიც არის შრომის ფსიქოლოგია, ხელოვნების ფსიქოლოგია, სპორტის ფსიქოლოგია და ა. შ. სწავლობს ადამიანის მოქმედებას მის კონკრეტული სპეციფიკური ასპექტით, იყენებს რა ამისთვის ზოგადი ფსიქოლოგიის მიერ მოცემულ დებულებებს ადამიანის მოქმედების შესახებ.[15]

ასევეა საბჭოთა სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შესწავლის მხრივაც. მაგრამ მისი შესწავლა შედარებით რთულია, ვიდრე ადამიანის ნებელობითი ბუნების შესწავლა ზოგად ფსიქოლოგიაში და ფსიქოლოგიის ცალკეულ დარგებში. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ თუ ადამიანის ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგების დროს ზოგად ფსიქოლოგიას და ფსიქოლოგიის ცალკეულ დარგებს მხედველობაში აქვს ისეთი მოქმედება, რომელიც გამოდის რომელიღაც მოტივიდან და მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ და, ამრიგად, იურიდიული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პირდაპირი განზრახვითი მოქმედებაა, საბჭოთა სისხლის სამართალში ნებელობითი მოქმედების ასეთი გაგება საკმარისი არ არის, კერძოდ, არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროს. ამიტომ როგორ უნდა გავიგოთ ქმედობის ნებელობითი ბუნება ისეთ დანაშაულთა დროს, რომელთა სუბიექტურ მხარეს არაპირდაპირი განზრახვა ან გაუფრთხილებლობა წარმოადგენს?

ყოველი ნებელობითი მოქმედება სრულდება მისი ძირითადი შედეგის დადგომის მიზნით, რომელსაც ამ შედეგის გარდა თან ახლავს აგრეთვე თანამდევი შედეგებიც. მაგრამ ისმის კითხვა, ამ შედეგების მიმართ მოქმედება იყოფა ნაწილებად და შემდეგ ეს ნაწილები ცალ-ცალკე დამოუკიდებელ მოქმედებას წარმოადგენს, თუ ყველა ამ შედეგის მიმართ მოქმედება მხოლოდ ერთია?

ამ კითხვას საბჭოთა ფსიქოლოგია დადებითად უპასუხებს. მას მიაჩნია, რომ მოქმედების ძირითადი და თანამდევი შედეგების მიმართ არსებობს მხოლოდ ერთი ნებელობითი მოქმედება, სადაც პირის ფსიქიკური დამოკიდებულებანი, რომლებიც ამ მოქმედების ფსიქოლოგიურ შინაარსს ქმნიან, მიმართულია მოქმედების ყველა გაცნობიერებული შედეგისაკენ, მჭიდროდ დაკავშირებულია ერთიმეორესთან და, ამრიგად, ერთიმეორის არსებობას განაპირობებს.

ამიტომ არ არის და არც შეიძლება იყოს ქმედობის თანამდევი შედეგების მიმართ ცალკე დამოუკიდებელი ნებელობითი მოქმედება ან უმოქმედობა. არ შეიძლება, მაგალითად, ითქვას, რომ ქუჩის რეკონსტრუქციის მიზნით სახლის აფეთქების და იქვე ახლოს მყოფი ადამიანის სიკვდილის დროს, რომლის დადგომის შესაძლებლობას პირი შეგნებულად უშვებდა, ეს უკანასკნელი სჩადის ორ ნებელობითს მოქმედებას, ერთს სახლის დანგრევის მიმართ, რაც სავსებით სამართლიანია, და მეორეს, ახლოს მყოფი ადამიანის სიკვდილის მიმართ, რომელიც წარმოადგენს მკვლელობას, ჩადენილს არაპირდაპირი განზრახვით, და რომ კანონმდებელს დანაშაულებრივად თითქოსდა ეს უკანასკნელი მოქმედება ჰქონდეს მხედველობაში.

სინამდვილეში კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს არა ცალკე დამოუკიდებელი ნებელობითი მოქმედება პირის სიკვდილის მიმართ, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, არამედ მხოლოდ ის ნებელობითი მოქმედება, რომელსაც დამნაშავე სჩადის ძირითადი შედეგის — სახლის დანგრევის მიზნით და რომელსაც მოჰყვა კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი — პირის სიკვდილი.

მაგრამ რა საფუძველზეა მთელი ეს მოქმედება დანაშაულებრივი, როდესაც მისი ძირითადი შედეგი — სახლის დანგრევა სამართლიანია და მხოლოდ ამ მოქმედების თანამდევი შედეგი — პირის სიკვდილია საზოგადოებრივად საშიში?

ჩვენი აზრით, ამ საკითხის ახსნა აღნიშნული მოქმედების ფსიქოლოგიურ შინაარსში უნდა ვეძიოთ, ის, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგი — პირის სიკვდილი ამ მოქმედებით იქნა გამოწვეული, ჯერ კიდევ ვერ ხსნის მთელი ამ მოქმედების დანაშაულებრივ ხასიათს, რადგან ეს იქნებოდა საკითხის მარტივი, მექანიკური გაგება. მაგრამ თუ აღნიშნული

---

15 იხ. რ. ნათაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1977, გვ. 596-597.

მოქმედების ფსიქოლოგიურ შინაარსს გავშიფრავთ, მაშინ ნათელი გახდება მთელი ამ მოქმედების დანაშაულებრივი ბუნება.

როგორც ითქვა, ყოველი ნებელობითი მოქმედების მიზან-მიმართულებაა ძირითადი შედეგის დადგომა, მაგრამ ამასთან ერთად მას თან ჰყვება აგრეთვე თანამდევი შედეგები. ცალკეული გაცნობიერებული შედეგის მიმართ პირს ყოველთვის ჩამოყალიბებული აქვს შესაფერისი ფსიქიკური დამოკიდებულება. მოქმედების ძირითადი შედეგი მისთვის წარმოადგენს სასურველ, მიზანდასახულ შედეგს, რაც შეეხება ამ მოქმედების თანამდევ შედეგებს, ზოგიერთს პირი შეგნებულად უშვებს, ზოგიერთის აცდენას ვარაუდობს და ა. შ. ყველა ეს და სხვა ამგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება ერთად ქმნის მოქმედების ფსიქოლოგიურ შინაარსს, რომელიც წარმართავს მოქმედებას სასურველი, მიზანდასახული შედეგის განხორციელებისათვის.

მაგრამ ეს ფსიქიკური დამოკიდებულებანი არ წარმოადგენს უბრალო მექანიკურ კრებადობას, სადაც ისინი თითქოსდა ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორისგან დამოუკიდებლად არსებობდეს. მარქსისტული ფსიქოლოგიის მიხედვით ყველა ფსიქიკური დამოკიდებულება მჭიდრო დიალექტიკურ კავშირშია და, ამდენად, განაპირობებს ერთიმეორის წარმოშობას და არსებობას. მაგალითად, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის წინ პირი ჯერ წარმოიდგენს იმ შედეგს, რომლის დადგომასაც მან უნდა მიაღწიოს დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის შედეგად, მაგრამ, წარმოიდგენს რა ამ შედეგს, ამასთან ითვალისწინებს იმ თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგებსაც, რომელთა დადგომისთვის მას სისხლის სამართლის პასუხიმგებლობა ეკისრება.

ამ მდგომარეობაში, პირი, განსაკუთრებით რთული მოქმედების დროს, ფიქრობს ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედობა ძირითადი სასურველი შედეგისათვის და ამით შეურიგდეს ამ ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომას, თუ ამ თანამდევ შედეგთა აცდენის მიზნით უარი თქვას მოქმედების ჩადენაზე და ამით სასურველი შედეგის განხორციელებაზე?

მხედველობაში იღებს რა თავისი ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა დადგომის შესაძლებლობას ან გარდაუვალობას, რისთვისაც მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ემუქრება, პირი ზოგჯერ ხელს იღებს მოქმედების ჩადენაზე. მაგრამ გარკვეულ ვითარებაში ასეთ შედეგთა დადგომის უსიამოვნო განცდა მას ხელს არ უშლის ისურვოს მისი ქმედობის ძირითადი შედეგის განხორციელება და მოიყვანოს მიღებული გადაწყვეტილება სისრულეში, რომელიც შეიცავს აგრეთვე აღნიშნული ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებას და მათ შეგნებულად დაშვებასაც.

ამრიგად, არაპირდაპირი განზრახვის დროს ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა მიმართ ჩამოყალიბებული აღნიშნული ფსიქიკური დამოკიდებულება ხელს არ უშლის აგ ქმედობის ძირითადი შედეგისადმი პირის სურვილის წარმოშობას და განხორციელებას. უფრო მეტიც, იგი სწორედ იმიტომ გაჩნდა, რომ განხორციელებულიყო პირის სურვილი, თორემ იგი აღიკვეთებოდა და ეს არის მისი როლი ამ სურვილის წარმოშობის და განხორციელების საქმეში.

ასევე ითქმის აგრეთვე არაპირდაპირი განზრახვის დროს ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა მიმართ პირის ფსიქიკური დამოკიდებულების წარმოშობასა და განხორციელებაზე. როგორც წესი, ქმედობის ძირითადი შედეგისადმი ჩამოყალიბებული ფსიქიკური დამოკიდებულების წარმოშობა, რაც ამ შედეგის დადგომის სურვილით გამოიხატება, წინ უსწრებს ამ ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური დამოკიდებულების წარმოშობას. და ეს ბუნებრივიც არის, ჯერ ქმედობის ძირითადი შედეგის მიმართ უნდა ჩამოყალიბდეს პირის ფსიქიკური დამოკიდებულება და შემდეგ კი შესაბამისად — თანამდევ შედეგთა მიმართ.

ამიტომ გასაგებია, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა მიმართ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება, რაც ამ შედეგთა გათვალისწინებას და მათ შეგნებულ დაშვებას ნიშნავს, არ შეიძლება წარმოიშვას და განხორციელდეს ისე, თუ ჯერ არ წარმოიშვა ამ ქმედობის ძირითადი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, თუ პირმა არ ისურვა ამ შედეგის დადგომა.

მაგრამ ამ ფსიქიკური კომპონენტებით არ ამოიწურება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსი, გარდა ამისა იგი შეიცავს აგრეთვე პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიშ ქმედობისადმი, რაც ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების სახელწოდებით არის ცნობილი.

აქვს თუ არა ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებას ზემოაღნიშნულ ფსიქიკურ კომპონენტებთან მჭიდრო, დიალექტიკური კავშირი, თუ იგი მათ გვერდით და მათგან დამოუკიდებლად არსებობს?

ამ კითხვაზე მარქსისტული ფსიქოლოგია და სამეცნიერო სისხლის სამართლის თეორია დადებითად უპასუხებს. დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივად საშიში შედეგები მოჰყვება მას, ხოლო ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება კი —ამ შედეგთა გათვალისწინებით და მათი სურვილით, ან შეგნებულად დაშვებით და ა. შ. და რამდენადაც არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი ითვალისწინებს მისი ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომას და შეგნებულად უშვებს მათ, ამდენად, აღნიშნულის საფუძველზე მას შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. როგორც ვხედავთ, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების წარმოშობას განაპირობებს ამ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება და მათი შეგნებულად დაშვება.

არის თუ არა რაიმე კავშირი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასა და ამ ქმედობის ძირითადი შედეგისადმი ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას შორის, რაც ამ შედეგის დადგომის სურვილით გამოიხატება?

რა თქმა უნდა, არის. როგორც ითქვა, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ამ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება და მათი შეგნებულად დაშვება, ხოლო ამ უკანასკნელისას კი — ძირითადი შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების წარმოშობა, რაც მისი დადგომის სურვილით გამოიხატება.

როგორც ვხედავთ, ქმედობის ძირითადი შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დაკავშირებულია ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასთან, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებით და მათი შეგნებულად დაშვების მეშვეობით, რომელიც ამის გამო წარმოადგენს შუალედურ რგოლს ამ ორ ფსიქიკურ დამოკიდებულებას შორის. და ეს გასაგებია. რომ არ ყოფილიყო ქმედობის ძირითადი შედეგის სურვილი, არ იქნებოდა არც მისი თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება და მათი შეგნებულად დაშვება და არც აღნიშნულის გამო ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება. თავის მხრივ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების არარსებობა იწვევს არაპირდაპირი განზრახვის, როგორც ბრალის ერთერთი სახის უარყოფას.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ნებელობითი ბუნების შინაარსი, რომელსაც პირი სჩადის არაპირდაპირი განზრახვის დროს, შეიცავს როგორც ძირითადი შედეგისადმი ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. ისე ამ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას და ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებას, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. არიან მჭიდრო დიალექტიკურ კავშირში და ამდენად განაპირობებენ ერთიმეორის წარმოშობას და არსებობას. სწორედ ამიტომ არც ერთი ეს ფსიქიკური დამოკიდებულება არ შეიძლება გაგებულ იქნეს, თუ მას ავიღებთ იზოლირებულად, სხვა ფსიქიკურ დამოკიდებულებებთან დაუკავშირებლად. რომ ყოველი მათგანის გაგება შესაძლებელია მხოლოდ დანარჩენ ფსიქიკურ დამოკიდებულებებთან გამუწყვეტელი კავშირით, მათგან მისი განპირობებით. არ შეიძლება, მაგალითად, იზოლირებულად იქნეს გაგებული პირის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი, რაც ამ შედეგების გათვალისწინებით და მათი შეგნებული დაშვებით გამოიხატება. არ შეიძლება, კერძოდ, გაგებულ იქნეს, თუ რატომ ითვალისწინებდა პირი ან შედეგებს და რატომ უშვებდა იგი მათ დადგომას შეგნებულად, რა იყო ამის მიზეზი. მაგრამ თუ ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებას სხვა ფსიქიკურ დამოკიდებულებებთან კავშირით განვიხილავთ, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის ასეთი გაგება დიალექტიკურია, ხოლო საწინააღმდეგო შეხედულება — მეტაფიზიკური.

ყოველივე ამის შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, თუ რატომ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ მაგალითში ქუჩის რეკონსტრუქციის მიზნით სახლის დანგრევა მკვლელობას იმ პირის მიმართ, რომელიც ამ მიზნის განხორციელებას შეეწირა და ეს გასაგებია, ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებათა ერთობლიობაში პირის დაღუპვისადმი ჩამოყალიბებული ფსიქიკური დამოკიდებულება, რაც მის გათვალისწინებას და შეგნებულად დაშვებას ნიშნავს, და ქმედობის სა-

ზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება მთელ ნებელობით მოქმედებას დანაშაულებრივ მოქმედებად — მკვლელობად აქცევს, და სწორედ იმ ფსიქიკურ დამოკიდებულებათა შინაგანი კავშირის და ურთიერთგანპირობებულობის მეშვეობით, რაზეც ზემოთ იყო ნათქვამი.

მაგრამ ამით არ ამოიწურება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების საკითხი საბჭოთა სისხლის სამართალში. გარდა ამისა აუცილებელია გაირკვეს შემდეგიც. როგორც უკვე ითქვა, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა ნებელობითია, ეს მოქმედება კი საბჭოთა ფსიქოლოგიის მიხედვით ყოველთვის შეგნებული და მიზანდასახული აქტია, რომელიც გამოდის გარკვეული მოტივიდან და ისახავს გარკვეულ მიზანს — ძირითადი შედეგის მიღწევას. როგორ შევუთავსოთ ამ დებულებას არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის გაგება, სადაც ამ ქმედობით გამოწვეული ცვლილებები კანონით დაცულ ობიექტში მისი თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგებია, რომელთა მიმართ პირს არც მოთხოვნილება და არც სურვილი არ გაჩნია?

როგორც არაერთგზის ითქვა, ყოველ ნებელობითს მოქმედებას, მათ შორის დანაშაულებრივსაც, პირი სჩადის ძირითადი შედეგის დადგომის მიზნით, რომელსაც თან მოჰყვება აგრეთვე დანაშაულებრივი თუ არადანაშაულებრივი თანამდევი შედეგები. მოქმედება კი ყველა ამ შედეგის მიმართ ერთი და განუყოფელია. ძირითადი შედეგის მიმართ მოქმედებას პირი სჩადის პირდაპირი განზრახვით, ზოგიერთი თანამდევი შედეგის მიმართ — არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო ზოგიერთის მიმართ — გაუფრთხილებლობით. ამრიგად, ერთდროულად ერთსა და იგივე მოქმედებას პირი სხვადასხვა ფსიქიკური დამოკიდებულებით სჩადის ამ მოქმედების ძირითად და თანამდევ შედეგთა მიმართ. და ეს გასაგებია, რადგან არ არსებობს წმინდა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ნებელობითი მოქმედება, ისე როგორც არ არსებობს წმინდა პირდაპირი განზრახვით ან წმინდა გაუფრთხილებლობით ჩადენილი ნებელობითი მოქმედება. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე მოქმედება ერთდროულად წარმოადგენს როგორც პირდაპირ განზრახვითს ისე არაპირდაპირ განზრახვითს და გაუფრთხილებლობითს იმისდა მიხედვით, თუ რა ფსიქიკურ დამოკიდებულებას აყალიბებს პირი ამ ქმედობის ძირითად და თანამდევ შედეგთა მიმართ. და რადგანაც არაპირდაპირი განზრახვის დროს კანონმდებელს საქმე აქვს ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგებთან, რომელთა დადგომას პირი შეგნებულად უშვებს, ამდენად მთელ ამ ნებელობითს მოქმედებას ამ შედეგების მიმართ ეწოდება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მოქმედება, ისე, რომ მისი ფსიქოლოგიური შინაარსი არ კარგავს სხვა შედეგთა მიმართ ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას და, ამრიგად, არ იცვლება ამ შინაარსის მოცულობა. ეს საკითხი დაახლოებით ისე უნდა გავიგოთ, როგორც, მაგალითად, ყოველი ადამიანის დამოკიდებულება სხვების მიმართ, სადაც, მაგალითად, მამაკაცი ერთდროულად შვილიც არის, მამაც, ძმაც და ა. შ. რომ იგი შვილი არის მშობლების მიმართ, მამა — შვილების მიმართ, ძმა — ძმის მიმართ, ისე, რომ იგი არ იყოფა ნაწილებად და ამდენად, ერთი და მთლიანია.

ჩვენი აზრით ზუსტად ასე უნდა იქნეს გაგებული არაპირდაპირი განზრახვა, როგორც ნებელობითი ფსიქიკური პროცესი, რომელიც უკლებლივ შეიცავს ყველა იმ კომპონენტს, რომლებსაც ბრალის ამ სახით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების შინაარსი შეიცავს.

# ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ზოგიერთი საკითხი

ლ. კუსრაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე



საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლში ცალკე შემადგენლობად არია ჩამოყალიბებული განზრახ მკვლელობა, ჩადენილი „უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეულია დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულია მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით“.

განზრახ მკვლელობა ამ მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს ოთხი ძირითადი პირობა: ა) დამნაშავე მკვლელობის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; ბ) ძლიერი სულიერი აღელვება აღძრული უნდა იყოს უეცრად, გ) უეცარი ძლიერი აულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით; დ) დაზარალებულის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიმართული უნდა იყოს დამნაშავის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირად არასწორად აკვალიფიცირებენ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობას. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ მეტად ძნელია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა და დადგენა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

ცხაკაიას სახალხო სასამართლოს განაჩენით უ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 17.105 მუხლებით. მან შურისძიებია ნიადაგზე მოკვლის მიზნით, თოფის გასროლით სხეულია მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა დ-ს.

საქმის საკასაციო წესით განხილვისას სასამართლო კოლეგია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სასამართლომ სწორად არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოება, რამაც გავლენა იქონია მსჯავრდადებულია ქმედობის კვალიფიკაციაზე. საქმის მასალებით დადგინდა, რომ ცუდი დამოკიდებულება უ-სა და დაზარლებულ დ-ს შორის გამოწვეული იყო მათი შვილების განქორწინებით. დაზარალებულის ოჯახი თვლიდა, რომ განქორწინებაში ბრალი მიუძღვოდა უ-ს ოჯახს. ამის გამო არ ასვენებდნენ უ-ს — უვარდებოდნენ სახლში, აყენებდნენ შეურაცხყოფას. უ-მ რამდენჯერმე მიმართა მილიციის ორგანოებს განცხადებით, მაგრამ ამაოდ. შემთხვევის დღეს დაზარალებულმა, რომელიც მთვრალი იყო, კვლავ მიაყენა შეურაცხყოფა უ-ს. ამ უკანასკნელმა არ მიაქცია მას ყურადღება და განერიდა. მიუხედავად ამისა, დ. ახლა შინ მიეჭრა უ-ს, იგი-

ნებოდა და შემდეგ ქვა დაუშინა სახლს. აღელვებული უ. გამოვიდა აივანზე და სანადირო თოფის გასროლით დაჭრა დ.

სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ უ. მოქმედებდა უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ დამნაშავის მძიმე შეურაცხყოფით და ძალადობით. ამიტომ სასამართლო კოლეგიამ უ-ს ქმედობა საქართველოს სსრ სსკ 17,105 მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ 17,106 მუხლზე[1].

აფექტი, როგორც მცირეხნიანი ძლიერი ემოციური განცდა, არ ტოვებს ისეთ ხელშესახებ კვალს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა დარწმუნებით გვემსჯელა, ნამდვილად იყო თუ არა იგი. აფექტი იმდენად ხანმოკლეა და სწრაფწარმავალი, რომ ხშირად ექსპერტსაც არ შეუძლია განსაზღვროს, ნამდვილად იყო თუ არა სუბიექტი დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტის მდგომარეობაში. როგორც სამართლიანად არის მითითებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებაში, სასამართლო ორგანოებმა ამგვარი საქმეების გადაწყვეტისას „მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ განზრახ მკვლელობისათვის სასჯელის დანიშვნისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ მონაცემთა გამოკვლევას, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებენ დამნაშავეს, მათ შორის სამუშაოსადმი მის დამოკიდებულებაა, ცხოვრებაში ქცევას, მის წარსულა და სხვ. ასევე აუცილებელია დაზარალებულის პიროვნების, დამნაშავესთან მისი ურთიერთობის, აგრეთვე მკვლელობის დროს მისი ქცევის შესახებ მონაცემების გამოკვლევა.

ბრალდებულის ფსიქიკურ სრულფასოვნებაში დაეჭვებისას საჭიროა ჩატარდეს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა; აუცილებელ შემთხვევაში კი პირი მოთავსდეს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული დაკვირვებისათვის“[2].

ძლიერი სულიერი აღელვების მდგომაერობა (აფექტი) განსაკუთრებული ინტენსიობის მქონე, უეცრად აღმოცენებული სწრაფწარმავალი განცდაა, რომელიც მთლიანად მოიცავს პიროვნებას დანაშაულის ჩადენის მომენტში და წარმართავს მის ქცევას. აფექტი ძლიერი გამომხატველი მოძრაობებით ხასიათდება[3].

აფექტი გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერების სფეროზე. ამ დროს, როგორც იტყვიან, ადამიანი „თავს კარგავს“. მას უქვეითდება უნარი კონტროლი გაუწიოს თავის ქცევას. აფექტი გვევლინება ცნობიერების დამმუხრუჭებელ გარემოებად. ლიტერატურაში განასხვავებენ ნაკლებად ინტენსიურ და ზეინტენსიურ აფექტს. ნაკლებად ინტენსიურ აფექტს სასამართლო ფსიქიატრიაში პირობითად უწოდებენ ფიზიოლოგიურ აფექტს, ხოლო ზეინტენსიურს— პათოლოგიურ აფექტს. ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

პათოლოგიური აფექტის დროს ხდება გონების სრული დახშობა და ნებისყოფის პარალიზება, მატრავმირებელი განცდების გავლენით ადამიანს ერ-

---

1 იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1974, № 1, გვ. 19.
2 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1975, № 3, გვ. 4.
3 იხ. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956, გვ. 452.

ღვევა გარემოს აღქმის, მომხდარი ფაქტისადმი დაკვირვებისა და საკუთარი მოქმედების შემეცნების უნარი. მისი წარმოდგენათა სფერო იმდენად ვიწროვდება, რომ იგი მხოლოდ მტკივნეული მატრავმირებელი განცდებით შემოიფარგლება, ყველა სხვა წარმოდგენა თითქოს წყვეტს არსებობას[4]. ამას შედეგად მოსდევს ე. წ. აფეთქების ფაზა: გონების დაკარგვა, ორიენტირების სრული მოშლა. ერთი სიტყვით, პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დამახასიათებელია: გონების სრული დაბნელება, თვითკონტროლის ანუ საკუთარი მოქმედებისადმი ანგარიშის გაწევის უნარის დაკარგვა და სხვ. ეს არის შეურაცხადობის, ე. ი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ავადმყოფური მდგომარეობა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლით სიცხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ესე იგი არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი საკუთარი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო".

პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, ფიზიოლოგიური აფექტის დროს დამნაშავე პირი შერაცხადია. ფიზიოლოგიური აფექტი არ არის ავადმყოფური მდგომარეობა. ამ დროს არ ხდება ცნობიერების მკვეთრი შეცვლა, გონების სრული დაბნელება. ფიზიოლოგიური აფექტის დროს პირი თუმცა თავშეუკავებლად მოქმედებს, მაგრამ მას დაკარგული არა აქვს უნარი კონტროლი გაუწიოს თავის მოქმედებას, შენარჩუნებული აქვს მახსოვრობა.

როგორც წესი, განრისხების ან სხვა აფექტური მდგომარეობის დროს ჯანმრთელი ადამიანი არასოდეს არ კარგავს გონებას[5]. ძნელია წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იყოს ემოციური განცდა, მაგრამ ყველა როდი სჩადიან დანაშაულს. არ შეიძლება აფექტის მიჩნევა დანაშაულის მიზეზად. ეს რომ ასე იყოს, როგორც სწორად შენიშნავს თ. შავგულიძე, მაშინ დამნაშავე უნდა დაგვესაჯა არა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან ვერ შეძლო დაეძლია აფექტი, რასაც შედეგად დანაშაულებრივი ქმედება მოჰყვა[6]. აფექტი წარმოადგენს ფსიქიკური აქტიურობის წყაროს, ემოციურ აფეთქებას. ამ დროს პირი ცდილობს უმოკლესი გზით დაიკმაყოფილოს შურისძიების სურვილი. მას შესუსტებული აქვს თვითკონტროლის, დანაშაულებრივი ქცევისაგან თავშეკავების უნარი. მაგრამ ეს უნარი არ არის გამორიცხული. სწორედ ამიტომ აგებს იგი პასუხს ამ მოქმედებისათვის. აფექტი ასრულებს კატალიზატორის როლს, წარმოადგენს შემამსუბუქებელ ფაქტორს, ე. წ. „სოციალურ მუხრუჭს", რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და არა ფაქტორს, რომელიც აგვიხსნის დანაშაულის ჩადენის მიზეზს. სწორედ ამიტომ არის მიჩნეული ფიზიოლოგიური აფექტი შემამსუბუქებელ გა-

---

[4] იხ. Судебная психиатрия, М., 1971, стр. 162-163.

[5] იხ. Б. М. Теплов, Психология, М., 1946, стр. 60.

[6] იხ. Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность. Тб., 1973, стр. 58.

რემოებად და არა, საერთოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად[7].

აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირი ჩაიდენს თუ არა დანაშაულს, ბევრად არის დამოკიდებული იმ გარემოს გარკვევაზე, რომელშიც მოხდა ამ პირის აღზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბება, ასევე პიროვნების ზნეობრივ სიწმინდეზე და კიდევ სხვა მრავალ ფაქტორზე: ეროვნული, ეთნოგრაფიული კუთვნილება, არსებული ადათ-წესები, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი და ა. შ.

ლიტერატურაში არის აზრთა სხვადასხვაობა აფექტის დროს განზრახვის არსებობის შესახებ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, თითქოს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარდა არსებობს ბრალის რაღაც განსაკუთრებული ფორმა, მაგალითად, ღრმა სიმთვრალით გამოწვეული ძლიერი ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში[8]. ზოგი იმასაც აღნიშნავს, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის გარდა სასამართლო პრაქტიკა იცნობს ე. წ. აფექტირებულ და განუსაზღვრელ (ალტერნატიულ) განზრახვის ფორმასაც. ასეთი განზრახვის აუცილებელ ნიშნებად მათ მიაჩნიათ: ძლიერი სულიერი აღელვება, აღელვების უეცრად აღძვრა, ხელყოფის არამართლზომიერება და ა. შ.[9] მაგრამ ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომაერობაში. მაგრამ აქ რაღაც განსაკუთრებულ „აფექტირებულ განზრახვაზე" ლაპარაკი შეცდომაა. თავის დროზე ამ საკითხია ირგვლივ ფართო დისკუსიაც კი გაიშალა საერთაშორისო მასშტაბით[10]. უმრავლესობის აზრით, აფექტირებული განზრახვის მიჩნევა ბრალის განსაკუთრებულ ფორმად დაუშვებელია.

საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლში ლაპარაკია განზრახ მკვლელობაზე, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. აფექტის დროს დამნაშავე ჩვეულებრივ ითვალისწინებს იმას, რაც მას სურს. თუ დადგინდება, რომ აფექტის მდგომარეობაში მყოფი დამნაშავე არ ითვალისწინებდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა იგი, მაშინ საქმე გვექნება გაუფრთხილებელ მკვლელობასთან. ამიტომ არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს პირის მოქმედება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ განზრახ მკვლელობად, თუ იგი აფექტის მდგომარეობაში სახლში გაარტყამს ვინმეს ხელს, ამ უკანასკნელს ფეხი გაუცურდება, მიწაზე დაეცემა, ქვას დაარტყამს თავს და მიღებული დაზიანების შედეგად მოკვდება. კანონმდებელი თვლის, რომ დანაშაულის 106-ე მუხლით დაკვალიფიცირები-

---

[7] იხ. Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тб., 1973, стр. 60.

[8] იხ. П. С. Дагель, Проблема бессознательного и некоторые вопросы вины в уголовном праве, «Ученые записки Дальневосточного гос. ун-та», т. 14, 1968, стр. 69-82.

[9] იხ. Г. А. Злобин, Б. С. Никифоров, Умысел и его формы, М., 1972, стр. 93

[10] ამის შესახებ უფრო დეტალურად იხ. Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тб., 1973, стр. 76-91.

სათვის აუცილებელია განზრახი ბრალის არსებობა. თუ ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირის მოქმედება მიიღებს გაუფრთხილებელი ბრალის ფორმას, დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი, ხოლო აფექტის მდგომარეობა შემამსუბუქებელ გარემოებად იქნება მიჩნეული სასჯელის განსაზღვრისას.

როგორც ითქვა, აფექტისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ოთხი პირობის არსებობა. ორი პირობა—დამნაშავე რომ დანაშულის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და რომ ეს ძლიერი სულიერი აღელვება უნდა ატარებდეს უეცარ ხასიათს, გათვალისწინებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით. რაც შეეხება დანარჩენ ორ პირობას, აქ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს თავისებური პოზიცია უკავია. ჩვენი კოდექსით, უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება აუცილებლად გამოწვეული უნდა იყოს დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით (ასეთსავე პირობას ითვალისწინებს უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები). რაც შეეხება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსს, იგი დამატებით ითვალისწინებს დაზარალებულის სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასაც (ამავე პოზიციაზე დგანან ბელორუსიის, მოლდავეთის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები). საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ასევე დამატებით პირობად აყენებს იმას, რომ კანონსაწინააღმდეგო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიმართული იყოს თვითონ დამნაშავის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ. ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებს უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ყაზახეთის ასსრ სისხლის სამართლის კოდექსები. რაც შეეხება რუსეთის სფს რესპუბლიკის, ბელორუსიის, მოლდავეთის, სომხეთისა და თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებს, მათში თუმცა ლაპარაკია დამნაშავის „ახლობლებზე", მაგრამ ეს მოთხოვნა შეეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულის მხრივ ხელყოფა გამოიხატება არა უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, არამედ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ფორმით[11]

ზოგი ავტორი თვლის, რომ ძლიერი სულიერი აღელვება აღიძვრება უეცრად, როგორც საპასუხო რეაქცია ძალადობასა ან მძიმე შეურაცყოფაზე და ამიტომ არ შეიძლება მათ შორის არსებობდეს დროში სხვაობა. ს. ბოროდინი, მაგალითად, თვლის, რომ თუ დავუშვებთ სხვაობას დროში, მაშინ არ გვექნება ფიზიოლოგიური აფექტისათვის დამახასიათებელი ძლიერი სულიერი აღელვების უეცრად აღძვრის მომენტი[12].

ა. პიონტკოვსკის აზრით, რსფსრ სსკ 104-ე მუხლი (საქართველოს სსრ

---

[11] თ. შ ა ვ გ უ ლ ი ძ ე — აქვე დამატებით ლაპარაკობს კიდევ ორ განსაკუთრებულ პირობაზე: დამნაშავემ უნდა მოკლას სწორედ ის პირი, ვინც თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოიწვია დამნაშავის ძლიერი სულიერი აღელვება. მკვლელობა ჩადენილ უნდა იქნეს განზრახ (იხ. Т. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность. Тб. 1973. стр. 103).

[12] იხ. С. Бородин. Квалификация убийства по действующему законодательству. М., 1966. стр. 127; Ответственность за убийство в состоянии внезапно возникшего сильного душевного волнения. «Социалистическая законность», 1960. № 4, стр. 28.

სსკ 106-ე მუხლი) არ მიესადაგება მკვლელობას, რომელიც ჩადენილია უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თუნდაც დამნაშავე იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამავე დროს, მისი აზრით, უმნიშვნელო განსხვავება დროში უკანონო ძალადობას ან მძიმე შეურაცხყოფასა და მკვლელობის ფაქტს შორის არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მომხდარი მკვლელობა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული მუხლით[13].

ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის, რომ კანონსაწინააღმდეგო ძალადობა და საპასუხო რეაქცია ერთმანეთს დროში არ დაემთხვას. სწორად მიგვაჩნია თ. შავგულიძის მოსაზრება, რომ აფექტი უწინარეს ყოვლისა წარმოადგენა უშუალო საპასუხო რეაქციას დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე, მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, როდესაც სუბიექტის მიერ ადრე მიღებული ძლიერი სულიერი ტრამვა ცოცხლდება გარკვეულ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს ამ ფაქტისათვის შეუფერებელ ემოციურ აფეთქებას[14].

იმისათვის, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად იქნეს ცნობილი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. ლეკვეიშვილი, საჭიროა უეცრად იყოს აღძრული არა მარტო ძლიერი სულიერი აღელვება, არამედ მკვლელობის განზრახვაც. თუ სუბიექტს მკვლელობის განზრახვა ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული და აღელვება მხოლოდ მკვლელობის თანმდევი შედეგია, მაშინ მკვლელობა ვერ ჩაითვლება შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად და მაშასადამე, ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით. თუ მკვლელობის განზრახვა დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისთანავე აღიძრა, მაგრამ მაშინვე კი არ იქნა განხორციელებული, არამედ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ქმედობა დაკვალიფიცირდება შურისძიებით ჩადენილ მკვლელობად[15].

იმისათვის, რომ დანაშაული დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით, აუცილებელია, რომ უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული იყოს დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცყოფით. დაზარალებულის მიერ ჩადენილი ძალადობა კანონსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი უნდა იყოს. უკანონო ძალადობას განმარტავენ, როგორც იაეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედობას, რაც მიზნად ისახავს ამა თუ იმ პირის, რეალურ ან სავარაუდო წინააღმდეგობის დაძლევას. ძალადობია ცნება გულისხმობს როგორც ფიზიკურ ძალმომრეობას — სიცოცხლის ხელყოფა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, ცემა, დარტყმა, წამება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და ა. შ., ისე ფსიქიკურ ზემოქმედებასაც.

„ძალადობა,— როგორც სწორად აღნიშნავს თ. შავგულიძე,— ყოველთვის

---

[13] იხ. Курс Советского уголовного права. часть особенная. т. 5. М., 1971. стр. 64-65.

[14] იხ. Т. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность. Тб., 1973. стр. 110.

[15] იხ. მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე. „საბჭოთა სამართალი", 1976, № 5, გვ. 13.

მოქმედებას გულისხმობს... არ შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს დანაშაულებრივი უმოქმედობა ან ისეთი მოქმედება როგორიცაა დანაშულის ჩადენა დაზარალებულის თანხმობით ან მის მიერ შეუცნობლად (ქურდობა, თაღლითობა და სხვ.“[16] მარტო ძალადობის ფაქტი საკმარისი არ არის, ამასთან აუცილებელია დადგინდეს, მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათიც. კანონი აფექტის გამართლებისათვის საკმარისად მიიჩნევს ძალადობის უკანონო ხასიათს და არ მოითხოვს რაიმე მძიმე შედეგს ან განსაკუთრებულ დამამძიმებელ გარემოებას. პირის მოქმედება რომ საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, საკმარისია ისეთი უკანონო ძალადობის ფაქტის არსებობა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ის კანონსაწინააღმდეგო ძალადობა, რომელმაც უშუალოდ გამოიწვია აფექტი, არამედ ის ვითარებაც, რომელიც წინ უძღოდა მკვლელობას. მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 105-ე და 112-ე მუხლებით, შემდეგ გარემოებათა გამო: კ. თავის ამხანაგებთან ერთად სახინკლეში იყო. იქ შემთხვევით შეხვდა შ-ს და მის ამხანაგ თ-ს. კ-ს და შ-ს ამ შემთხვევამდე რამდენჯერმე ჰქონიათ შელაპარაკება. შ. მივიდა კ-სთან და დაუწყო დავა იმ ინციდენტის გამო, რომელიც მათ შორის მოხდა რამდენიმე დღის წინათ. დავა ჩხუბში რომ არ გადაზრდილიყო, კ-მ ბოდიში მოუხადა შ-ს და განერიდა იქაურობას, მაგრამ შ. დაედევნა კ-ს და დაუწყო გინება. ამასთანავე მოითხოვა ფული. კ-მ განუმარტა, რომ მას მხოლოდ მანეთი აქვს და თვითონ სჭირდება. შ-მ მაინც მოითხოვა მიეცა მისთვის მანეთი. ამ დროს კ-მ ამოიღო ჯიბიდან დანა და მოკვლის განზრახვით შ-ს მუცელში ჩასცა, ხოლო მის ამხანაგ თ-ს მკლავში. შ. გარდაიცვალა, თ-მ კი სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე კ-ს დანაშაულებრივი ქმედობა გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლზე.

პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგინდა, რომ შ-მ 5 მანეთი წაართვა კ-ს. ამ შემთხვევიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კ. შემთხვევით შეხვდა შ-ს. შ-მ კვლავ მოსთხოვა მას ფული, კ-მ განუმარტა, რომ არა აქვს ფული. შ. არ მოეშვა და კვლავ დაჟინებით სთხოვდა ფულს, კ-მ ხელი გაარტყა შ-ს, შეახტა ავტობუსს და გაიქცა. ყოველივე ეს წინ უსწრებდა მომხდარ ინციდენტს.

როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს კ-მ არ უარყო, რომ დანა დაარტყა შ-ს და მის ამხანაგს. მაგრამ განმარტა, რომ შ-ს მოკვლის განზრახვა არ ჰქონია და დანა იხმარა იმიტომ, რომ თავის მოქმედებით შ-მ მოთმინებიდან გამოიყვანა და ის ძლიერ აღელდა.

მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა, რომ კ. სისტემატურ დევნას და შეურაცხყოფას განიცდიდა შ-ს მხრიდან. იგი სძალავდა კ-ს ფულს.

---

[16] ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 47.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად პრეზიდიუმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კ-მ დანაშაული ჩაიდინა უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების, ანუ აფექტის მდგომარეობაში. სისტემატური ძალადობა და მძიმე შეურაცხყოფა ამზადებდა აფექტს. ძალადობის უკანასკნელმა აქტმა გამოიწვია აფექტის განმუხტვა[17].

აფექტის გამამართლებელი ფაქტორია მძიმე შეურაცხყოფა, ამასთან დაკავშირებით, მიუთითებენ საქართველოს სსრ სსკ 138-ე მუხლზე, რომელიც შეურაცხყოფას განმარტავს როგორც პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებას, გამოხატულს უწესო ფორმით. მძიმე შეურაცხყოფა აუცილებლად მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს, რაც უშუალოდ გამომდინარეობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის დისპოზიციიდან.

ლიტერატურასა და პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული მძიმე შეურაცხყოფის ცნება. ჯერ კიდევ დადგენილი არ არის, თუ რას გულისხმობს იგი. კანონმდებელი კი აფექტის გამართლებისათვის საჭიროდ მიიჩნევს არა უბრალო, არამედ სწორედ მძიმე შეურაცხყოფას.

მ. ლეკვეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „მძიმე შეურაცხყოფილად უნდა მივიჩნიოთ პიროვნების პატივისა და ღირსების უხეში, განსაკუთრებით მძიმე დამცირება. შეურაცყოფის სიმძიმის საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნას ყველა კონკრეტულ საქმეზე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლივი გათვალისწინებით. მართალია, სუბიექტურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად აღიქვამს შეურაცხყოფას, მაგრამ მარტო სუბიექტურ ფაქტორზე დაყრდნობით ქმედობის სწორი კვალიფიკაცია შეუძლებელია“[18].

ლიტერატურაში სადავოდ ითვლება საკითხი, ჩაითვალოს თუ არა მძიმე შეურაცხყოფად ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა — ერთ-ერთი მეუღლის თანდასწრებით. სასამართლო პრაქტიკა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების გამომწვევად თვლის ერთ-ერთი მეუღლის ღალატს მეორის თანდასწრებით. ე. ი. ამ ფაქტს მძიმე შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ცოლქმრული ღალატი ყოველთვის, ყველა ცივილიზებულ ხალხში დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. მართალია, ძველად, საქართველოში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა ყოველთვის მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ გამონაკლისი იყო, როდესაც ქალს მრუშობაზე წაასწრებდნენ. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის თანახმად, „თუ კაცმან თავისი ცოლი მრუშობაზე დაახელოს და მოკლას, არა ძმისაგან, არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების“.

იმავე მუხლით, ყმას უფლება ჰქონდა მოეკლა თავისი ბატონი თუ იგი ცოლთან მწოლარეს მიუსწრებდა მას. „თუ ბატონმან ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ ეთხოვების“. როგორც ვხედავთ,

---

17 იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1975, № 1, გვ. 22.

18 მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი“, 1976, № 5, გვ. 15.

ფეოდალურ სამართალსაც კი ცოლქმრული ღალატი ოჯახის საფუძვლის შემარყეველ-გამანადგურებელ მოქმედებად მიაჩნდა, თორემ ყმას ასეთ დიდ უფლებას არ უბოძებდა[19].

ს. ბოროდინს ცოლქმრული ღალატი მძიმე შეურაცხყოფად მიაჩნია, თუმცა იქვე შენიშნავს, ამ საკითხზე პასუხის გაცემა ყველა შემთხვევისათვის შეუძლებელიაო[20].

თ. შავგულიძის აზრით, არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ცოლქმრული ღალატის შემთხვევაში მოღალატე მხარის ან მისი საყვარლის მოქმედება მიზნად ისახავს პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირებას, ვინაიდან, ისინი, როგორც წესი, ცდილობენ ღალატი შეუმჩნეველი დარჩეს არა მარტო მეუღლისათვის, არამედ ყველა გარეშე პირისათვის. ძნელი დასამტკიცებელია, განაგრძობს თ. შავგულიძე, რომ ქალს, რომელიც ნებდება მამაკაცს, ამით სურს დაამციროს თავისი საყვარლის ცოლის პატივი და ღირსება. მას ასევე ძნელად დასამტკიცებლად მიაჩნია ცოლქმრული ღალატის კანონსაწინააღმდეგო ქცევად მიჩნევა, ვინაიდან ადამიანს აქვს სქესობრივი თავისუფლების უფლება მაშინაც კი, როდესაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება. აღნიშნულიდან გამომდინარე თ. შავგულიძე დაასკვნის: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის კონსტრუქცია არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ცოლქმრული ღალატით გამოწვეული მკვლელობა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ცოლქმრული ღალატი არ მიაჩნია მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მქონედ და შეურაცხმყოფელად სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მაინც იმ აზრისაა, რომ სასამართლო პრაქტიკა დგას სწორ გზაზე, როდესაც შორდება კანონს და ცოლქმრული ღალატით გამოწვეულ ფიზიოლოგიურ აფექტს გამართლებულად თვლის.

მისი აზრით, ცოლქმრული ღალატი, როგორც ამორალური საქციელი, ხშირად სუბიექტს მძიმე ტრავმას აყენებს, ამასთან ერთად, მოტყუებული განსაზღვრულ სოციალური ჯგუფების მიერ ფასდება როგორც არასრულფასოვანი და დამცირებული. ამიტომ ცოლქმრული ღალატი თავისი მნიშვნელობით უნდა გაუტოლდეს ძალადობასა და მძიმე შეურაცხყოფას[21].

მ. ლეკვეიშვილი არ ეთანხმება საკითხის ამგვარად გადაწყვეტას. მას არ მიაჩნია დამაჯერებლად ასეთი არგუმენტაცია: „ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მუხლის ამგვარი კონსტრუქცია უსაფუძვლოდ შეამსუბუქებდა იმ პირების პასუხისმგებლობას, რომელთა

---

19 იხ. ტ. ლემონჯავა, აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1978, № 1, გვ. 46.

სხვათაშორის, ძველი ქართული სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი დანაშაულის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, რაც უეჭველად, მისი განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

20 იხ. С. Бородин. Квалификация убийства по действующему законодательству, М., 1966, стр. 132-133.

21 იხ. Т. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность, Тб., 1973, стр. 130-135.

შეგნებაშიც ზოგიერთ ძველ, მავნე ტრადიციას ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს მოკიდებული ფეხი"[22].

მ. ლეკვეიშვილის მტკიცებით, „...ცოლქმრული ღალატის შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, ქმარი შეუსწრებს ცოლს სხვა მამაკაცთან და აფექტის მდგომარეობაში კლავს მას... არ ხდება დაზარალებულის მიერ დამნაშავის მძიმე შეურაცხყოფა იმ გაგებით, რაც კანონმდებლის მიერ ამ ცნებაშია ჩაქსოვილი. აქ დამნაშავეს ამოძრავებს მხოლოდ შურისძიება, გრძნობს რა თავს შეურაცხყოფილად (თუმცა, არა კანონში მინიშნებული დისპოზიციის ფარგლებში). ამიტომ ქმედობა უნდა დავაკვალიფიციროთ როგორც ჩვეულებრივი მკვლელობა შურისძიების მოტივით. სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს დამნაშავისათვის მიყენებული სულიერი ტრავმა... და დაუნიშნოს სასჯელის მინიმალური ოდენობა"[23].

ჩვენი აზრით, ცოლქმრული ღალატი, ვიდრე მეუღლენი კანონიერ-რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, თუ ამას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის მკვლელობა, ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოღალატე მხარე ან მისი საყვარელი მოქმედებდა თუ არა ნაღალატევი მხარის პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით. თვით ის ფაქტი, რომ ასეთ მოქმედებას, როგორც წესი, მალულად, ფარულად, შეუმჩნევლად სჩადიან, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღალატის ფაქტი, მიუხედავად დაზარალებულის „კეთილი" განზრახვისა, თავისთავად არის შეურაცხმყოფელი.

მკვლელს, აფექტში ჩავარდნის დროს, როდი რჩება იმის გააზრების ან გამორკვევის დრო, თუ რა მიზნით უღალატეს მას. საერთოდაც, წარმოუდგენელია მოღალატე ცოლმა ან ქმარმა, თუ ის ნორმალურია, არ იცოდეს, რომ ღალატით იგი არა მარტო მძიმე, არამედ წარუშლელ შეურაცხყოფასაც აყენებს ნაღალატევ მხარეს.

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო შეურაცხმყოფელი, როდესაც თავმოყვარე, ოჯახის ერთგული, ზნეობრივად წმინდა და ღირსებით ყოველმხრივ შემკული ადამიანი მისდაუნებურად მოწმე გახდება სარეცელის გაყოფისა, ოჯახის შეგინებისა, თავმოყვარეობის შელახვისა და ღირსების დამცირებისა.

მართალია, კანონში არ არის მითითება იმაზე, რომ ცოლქმრული ღალატი დაუშვებელი და სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობაა, ასევე ვერ ვნახავთ, რომ ცოლქმრული ღალატი დასაშვები, ისეთი მართლზომიერი მოქმედებაა, რომელიც არ ითვლება შეურაცხმყოფელად. კანონით არც ის არის ნებადართული, რომ ადამიანს აქვს სქესობრივი თავისუფლება, როდესაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, რომ მეუღლეებს არა აქვთ უფლება დაუშალონ ერთმანეთს სქესობრივი აღვირახსნილობა და თავშეუკავებლობა, ხოლო თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, მოუწონონ ერთმანეთს საქციელი ან მშვიდად, უდრტვინველად აიტანონ ეს მდგომარეობა.

სამაგიეროდ, კანონმდებლობაში ხშირად შევხვდებით მითითებას ოჯახის სიწმინდის, ცოლქმრული ერთგულების დაცვის აუცილებლობაზე, შვილე-

---

[22] მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი", 1976, № 5, გვ. 15.

[23] იხ. იქვე, გვ. 14.

ბის წესიერად აღზრდაზე, მშობლების, შვილების და ოჯახის სხვა წევრთა უფლება-მოვალეობაზე და ა. შ. როგორც ეს სამართლიანად არის მითითებული ლიტერატურაში, ჩვენი საოჯახო კანონმდებლობა არავის ბოჭავს სამუდამო ქორწინებით, არავის აიძულებს შეასრულოს „მუდმივი ქმრის“ ან „მუდმივი ცოლის“ სვეგამწარებული როლი. ვისაც საფუძველი აქვს და არ შეუძლია მეუღლესთან ცხოვრება, უფლება აქვს განქორწინდეს, რის შემდეგ შეუძლია მოიქცეს სურვილისამებრ, თუმცა გარყვნილების უფლებას საბჭოთა კანონი არც ამის შემდეგ იძლევა.

ცოლქმრული ღალატი ამორალური, დასაგმობი და გასაკიცხი საქციელია, რომელიც პიროვნებას სულიერ ტრავმას აყენებს. მართალია, სასამართლო პრაქტიკა ცოლქმრულ ღალატს აფექტის გამამართლებელ გარემოებად მიიჩნევს და აღნიშნულ შემთხვევაში დანაშაული კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით, მაგრამ მიზანშეწონილი იქნებოდა თუ 106-ე მუხლის დისპოზიციაში ასახვას პოვებდა ცოლქმრული ღალატის შედეგად აფექტში ჩადენილი მკვლელობაც[24].

საერთოდ კი, შეურაცხყოფა მძიმეა თუ არა, ეს ფაქტის საკითხია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სუბიექტური მომენტი, ე. ი. ის, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე შეურაცხყოფა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. სუბიექტურად მძიმედ განცდილი შეურაცხყოფა აფექტს მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუ იგი ობიექტურადაც მძიმეა. ცოლქმრული ღალატი კი ობიექტურად, როგორც წესი, ყოველთვის მძიმეა. თუ ქმედობა არ ატარებს უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის ხასიათს, მაშინ მისი დაკვალიფიცირება 106-ე მუხლით არ შეიძლება.

თუ დაზარალებულის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიმართული არ არის დამნაშავის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ, მაშინ ქმედობა ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით.

„ახლობლებში“ უპირველესად იგულისხმებიან ღვიძლი ნათესავები[25]. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით ღვიძლ ნათესავებად ითვლებიან: მშობლები, მშვილებლები, შვილები, შვილად აყვანილნი, ძმები და დები, პაპები და ბებიები, შვილიშვილები, აგრეთვე ცოლი და ქმარი. საერთოდ კი, არის თუ არა პირი დამნაშავის ახლობელი, ეს ფაქტის საქმეა და იგი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

სწორად შენიშნავს თ. შავგულიძე, რომ თუ „აფექტში მკვლელობა ისეთმა ძალადობამ ან ისეთმა შეურაცხყოფამ გამოიწვია, რომელიც მიმართული იყო არა დამნაშავის ან მისი ახლობლების, არამედ გარეშე პირის წინააღმდეგ,

---

[24] ამ საკითხზე იხ. Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность. Тб., 1973, стр. 135. Е. Сидоров, Аффект, его уголовноправовое и криминологическое значение, автореферат, Казань, 1974, стр. 21. ტ. ლემონჯავა, აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1978, № 1, გვ. 49.

[25] სხვათა შორის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საფუძვლებში მითითებული არ არის „ახლობლებზე“ როგორც აფექტის გამამართლებელ გარემოებაზე.

მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება არა 106-ე, არამედ 105-ე მუხლით. ის ფაქტი, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაული გამოწვეული იყო არამართლზომიერი მოქმედებით... სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება"[26].

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ „ახლობლებზე" მითითებით მნიშვნელოვნად იზღუდება იმ ინტერესების სფერო, რომელზედაც ხელყოფამ შეიძლება გაამართლოს აფექტი. ავტორთა უმრავლესობა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური მუხლის კონსტრუქციას უფრო მართებულად მიიჩნევს.

მ. ლეკვეიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოები არსებითად არღვევენ კანონს, როდესაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით აკვალიფიცირებენ ისეთ ქმედობას, რომელიც, თუმცა თავისი არსით შეიძლება ჩაითვალოს უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობად, მაგრამ არც დაზარალებულის უკანონო ძალადობითა და არც მძიმე შეურაცხყოფით არ იყოს გამოწვეული.

ავტორი აქვე მიუთითებს, რომ არ უნდა გამოვრიცხოთ აფექტი მაშინაც, როდესაც პირს შეგნებულად სწამებენ ცილს მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ცილისწამებამ შეიძლება ისევე გამოიწვიოს აფექტი, როგორც მძიმე შეურაცხყოფამ[27].

როგორც ვხედავთ, დაზარალებულის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ ვერ ამოწურავს ყველა შესაძლებელ საბაბს აფექტის აღმოცენებისათვის.

ამ მხრივ 106-ე მუხლი საჭიროებს კორექტივს.

---

[26] ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 49.

[27] იხ. მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი", 1976, № 5, გვ. 16.

# სასამართლო პრაქტიკა იმ დავათა გამო, რომლებიც საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებას ეხება

გ. დევდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია საბინაო მშენებლობის შემდგომი გაფართოება, საბჭოთა მოქალაქეების საბინაო პირობების გაუმჯობესება.

საბინაო პრობლემის გადაწყვეტისათვის სახელმწიფოსა და პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც 1981 წლის ივნისში მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. მისი მიზანია სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა საბინაო უფლებების უზრუნველყოფა, საბინაო ფონდის დაცვა, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება და საბინაო კანონმდებლობის განმტკიცება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის ბინების რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება, ჯერ კიდევ დიდია პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების ხვედრითი წილი.

საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა სასამართლოების მიერ საცხოვრებელ სახლზე ამ უფლებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სწორად გადაწყვეტა.

სასამართლო სტატისტიკაში არ აღირიცხება დავები საცხოვრებელი სახლის პირდი საკუთრების უფლების შესახებ, ამიტომ შეუძლებელია იმის ზუსტად დადგენა, თუ ამ კატეგორიის რამდენ საქმეს იხილავენ რესპუბლიკის სასამართლოები. მაგრამ მოვიყვანთ ასეთ მონაცემებს: 1980 წელს და 1981 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში საკასაციო წესით გასაჩივრდა ამ კატეგორიის 40 საქმე, რაც მთლიანად საკასაციო წესით შემოსულ საქმეთა 3,1 პროცენტს შეადგენს. აქედან გადაწყვეტილება გაუქმდა 11 საქმეზე, რაც ამ კატეგორიის გასაჩივრებულ საქმეთა 27,5 პროცენტს უდრის.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით სახალხო სასამართლოებიდან გამოთხოვილი და შესწავლილია 110 საქმე. განზოგადების მასალებით პირადი საკუთრების უფლებას საცხოვრებელ სახლზე ან მის წილზე ითხოვდნენ შემდეგი საფუძვლებით: 40 საქმეზე მემკვიდრეობის წესით, 25 საქმეზე როგორც ქორწინების პერიოდში მეუღლეთა მიერ ერთად შეძენილი, 24 საქმზე მშენებლობაში თანამონაწილეობის გამო, 15 საქმეზე, რომ ნასყიდო-

ბის ხელშეკრულება დადებულად ეცნოთ, 5 საქმეზე, რათა დაედგინათ ფურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ითვლებიან ნაგებობის მესაკუთრედ.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების ეს მასალები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ კატეგორიის საქმეებს სასამართლოები ძირითადად სწორად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად წყვეტენ, მაგრამ გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს გამოწვეულია ამ საქმეთა სასამართლო განხილვისათვის არასათანადო მომზადებით. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ზოგჯერ საქმეებს არ ერთვის შენობის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება თანამესაკუთრეთა შორის ბინის რეალურად გაყოფას, რაც დაკავშირებულია ბინის გადაკეთებასთან, სხვაგვარად დაგეგმვასთან, რომელიც სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოები არ ნიშნავენ ტექნიკურ ექსპერტიზას, არ ახდენენ ადგილზე დათვალიერებას, რაც თავისთავად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ხდება. ასეთ დარღვევებს შედარებით ხშირად ვხვდებით მცხეთის, ხაშურის, გორის სახალხო სასამართლოების პრაქტიკაში.

განსაკუთრებით უხეშ შეცდომებს უშვებენ სასამართლოები იმ საქმეთა განხილვისას, როდესაც დავა შეეხება სახლის ნაწილის საკუთრების უფლებას სახლის მშენებლობაში მონაწილეობის საფუძვლით. შეცდომები ძირითადად იმით გამოიხატება, რომ სასამართლოები მშენებლობაში გარეშე პირის ან ნათესავის დახმარებას საკმარისად თვლიან. იმისათვის, რომ ცნონ ამ პირთა საკუთრების უფლება სახლის ნაწილზე, არ არკვევენ, იყო თუ არა ამ პირთა შეთანხმება მშენებელთან საერთო საკუთრების შექმნისათვის და რომ ისინი სწორედ ამ მიზნით მონაწილეობდენ შრომით და სახსრებით სახლის მშენებლობაში.

გორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1980 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ზ. ვალიშვილის სარჩელი და მას საკუთრების უფლებით გამოუყო მოპასუხე ს. ობოლაშვილის პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ერთი მესამედი იმ საფუძვლით, რომ მოსარჩლე ზ. ვალიშვილი არის მოპასუხე ს. ობოლაშვილის შვილის მეუღლე. მოპასუხემ მოსარჩლის ოჯახში ცხოვრების დროს სახლს დააშენა მეორე სართული და, როგორც მოწმეები ადასტურებენ, მოსარჩლე მონაწილეობდა მშენებლობაში. სასამართლოს არ გაურკვევია რა მონაწილეობას იღებდა მოსარჩლე მშენებლობაში, აგრეთვე ის, იყო თუ არა მოლაპარაკება მხარეებს შორის საერთო საკუთრების შექმნისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე დაუბრუნა სასამართლოს ხელახლა განხილვისათვის. მსგავსი ფაქტები არცთუ ისე იშვიათია. მშენებლობაში მონაწილეობის მოტივით სახლის საკუთრების უფლების ცნობის სარჩელების განხილვის დროს სასამართლოები მოვალენი არიან საქმეში მოპასუხის მხარეზე მესამე პირებად ჩააბან ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სხვა დაწესებულებები, რომლებმაც გამოყვეს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი, იმის გასარკვევად, არიან თუ არა ისინი თანახმა ცვლილებები შეიტანონ მიწის ნაკვეთის სარგებლობის ხელშეკრულებაში. აქ, ბუნებრივია, წარმოიშობა საკითხი ამ უწყებების წარმომადგენლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ. როგორც

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლოები სარჩელების დაკმაყოფილებისას ძირითადად ეყრდნობიან მიწის ნაკვეთის გამომყოფი ორგანოს წარმომადგენლების ზეპირ განცხადებას, რომ ცნობენ სარჩელს, არ არიან იმის წინააღმდეგ, რომ ცვლილებები იქნეს შეტანილი მიწის სარგებლობის ხელშეკრულებაში. ჩვენი აზრით, პროცესში მესამე პირთა მონაწილეობისადმი ასეთი გაუბრალოებული დამოკიდებულება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა ხდება აღმასკომის ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, ამიტომ ამ ორგანოთა წარმომადგენელს უფლება არა აქვს თავისი პირადი შეხედულებით მოითხოვოს ამ ხელშეკრულების შეცვლა. ვფიქრობ, საჭიროა ასეთ პირებს მოვთხოვოთ წერილობითი თანხმობა ან უკიდურეს შემთხვევაში საამისო სპეციალური რწმუნება სარჩელის ცნობაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 48).

სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათად გვხვდება შეცდომები საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის თაობაზე დავათა განხილვისას, რაც გამოიხატება შემდეგში: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, როდესაც იგი ფაქტობრივად შესრულებულია ორივე მხარის მიერ, ე. ი. მყიდველმა მიიღო ღირებულება, ხოლო გამყიდველი ფაქტობრივად ფლობს შესყიდულ სახლს, მაგრამ არ ყოფილა დაცული გარიგების სანოტარო ფორმა, სასამართლოს შეუძლია ასეთი გარიგება ცნოს დადებულად. ზოგიერთი სასამართლო ამ ნორმაზე მითითებით და იმ გარემოების გამო, რომ ხელშეკრულება ფაქტობრივად შესრულებულია ორივე მხარის მიერ, დადებულად ცნობს ნასყიდობის ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც კანონსაწინააღმდეგოა და მისი დამოწმების უფლება სანოტარო კანტორას არა აქვს. მაგალითად, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1981 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ვ. ზაქაიძის სარჩელი ვ. მამუჩაშვილის მიმართ და კანონიერად ცნო მხარეთა შორის 1971 წელს დადებული სახლის ნასყიდობის შინაური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მოპასუხე ვ. მამუჩაშვილი ყიდის სოფ. დიღომში მდებარე საცხოვრებელ სახლს 1000 კვადრატული მეტრი ეზოთი. მყიდველის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლის აგების შემთხვევაში ძველი სახლის მასალა უნდა გადაეცეს მას (გამყიდველს), როგორც ნასყიდობის ხელწერილის ტექსტიდან ჩანს, ფაქტობრივად მოხდა მიწის ნაკვეთის გასხვისება. ამავე დროს სახლის გაყიდვის თაობაზე არ იყო სოფ. დიღომის კოლმეურნეობის ნებართვა, როგორც ამას კანონი მოითხოვს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1981 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით გააუქმა მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება და თავის განჩინებაში მიუთითა, რომ სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება გამოიყენოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი, თუ ნასყიდობის ხელშეკრულება კანონს არ ეწინააღმდეგება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ზღვრული ნორმები (60 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 40 კვ.

მეტრი დამხმარე ფართობით). სანოტარო კანტორები მოქალაქეებს ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმებაზე უარს ეუბნებიან, თუ საცხოვრებელი სახლის ნორმა ამ ფარგლებს აღემატება. სასამართლო ორგანოები კი ამ მოტივით არ აკმაყოფილებენ სარჩელებს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ.

ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ სანოტარო და სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხში მცდარია და არ გამომდინარეობს კანონის შინაარსიდან. ძირითადად საკითხი ეხება იმ სახლებს, რომლებიც კანონიერია და აგებულია საცხოვრებელი სახლის ზღვრული ნორმების დადგენამდე დიდი ხნით ადრე. რა თქმა უნდა, ასეთი სახლების მიმართ რაიმე შეზღუდვის დაწესება, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება კანონს.

ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც სასამართლოები საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების შესახებ დავას იხილავენ იურიდიული ფაქტის დადგენის წესით. ეს სასამართლოები, როგორც ჩანს, სარგებლობენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ქართული ტექსტის 256-ე მუხლის მე-6 პუნქტის მცდარი რედაქციით[1].

ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ უშვებს შეცდომას სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლების მიმართ საკუთრების უფლების დავის გადაწყვეტის დროს. მხოლოდ სასოფლო საბჭოების მიერ გაცემული ცნობებით ასკვნიან, რომ საცხოვრებელი სახლი ეკუთვნის საკოლმეურნეო კომლს და ახდენენ ამ სახლების საკოლმეურნეო კომლის პრინციპით გაყოფას, მაშინ როდესაც ამ ადგილებში კოლმეურნეობები დიდი ხანია საბჭოთა მეურნეობებად გარდაიქმნა და თავისთავად კომლმა, როგორც დამხმარე მეურნეობის ფორმამ, შეწყვიტა თავისი არსებობა. სასამართლო პრაქტიკაში შენიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ეს დავები საკითხთა მრავალმხრივობით, მათი გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ ურთულეს დავას წარმოადგენს. გარდა ამისა მოქმედი საკანონმდებლო ნორმები ვერ იძლევა სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი მთელი რიგი საკითხების სათანადო გადაწყვეტას. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, გაითვალისწინა რა ეს, ახლახან (1981 წლის 31 ივლისი) განიხილა საკითხი სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ დავების საქმეებზე, რომლებიც შეეხება საცხოვრებელი სახლების პირადი საკუთრების უფლებას, და მიიღო საკმაოდ ვრცელი, მეტად საინტერესო დადგენილება, რომელშიც მოცემულია ბევრი სახელმძღვანელო განმარტება სასამართლო პრაქტიკაში ამ დავების სწორად გადაწყვეტისათვის.

სახლის მშენებლობაში მონაწილეობის მოტივით სახლის ნაწილის საკუთრების საკითხის გადაწყვეტის დროს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამცემი ორგანოს აზრს, რაც გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა სასამართლოებს დავების სწორად გადაწყვეტაში, როდესაც გარეშე პირის მონაწილეობა მშენებლობაში სახლის საერთო

---

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით ამ მუხლში სათანადო ცვლილებები შეიტანა.

საკუთრების წარმოშობის მიზნით აშკარა იყო, ხოლო მიწის გამცემი ორგანო არ იყო თანახმა მიწის სარგებლობის ხელშეკრულება შეეცვალა. პლენუმის ახალი დადგენილებით სასამართლო ამ ორგანოების აზრს აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში და შეუძლია არ მიიღოს იგი, მხოლოდ ამან სათანადო დასაბუთება უნდა პოვოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად წამოიჭრებოდა ძნელად გადასაწყვეტი დავა საცხოვრებელი სახლის მყიდველსა და გამყიდველს შორის დამხმარე ნაგებობის თაობაზე, როდესაც მათ შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ იყო მითითება. ამ საკითხში პლენუმის დადგენილებამ სიცხადე შეიტანა. ვინაიდან დამხმარე ნაგებობანი მიზნობრივად ემსახურება საცხოვრებელი სახლის ნორმალურ ექსპლოატაციას, სახლის გასხვისების შემთხვევაში დამხმარე ნაგებობანი საცხოვრებელი სახლის ბედს იზიარებენ.

რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს დამხმარე ნაგებობის აღება ან სხვა ადგილზე გადატანა სახლის ყოფილი მესაკუთრის მიერ. აქედან გამომდინარეობს ის დებულებაც, რომ საცხოვრებელი სახლის გაყოფის შემთხვევაში არ შეიძლება ერთ მესაკუთრეს გამოეყოს საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორეს — დამხმარე ნაგებობა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებით და ოფიციალური საკანონმდებლო აქტებით, დაუშვებლად იყო მიჩნეული მესაკუთრეთა შორის საცხოვრებელი სახლის იმგვარად გაყოფა, რომ რომელიმე მესაკუთრე მისი ნების გარეშე მთლიანად სახლის წილის გარეშე დარჩენილიყო და მიეღო საცხოვრებელი სახლის კუთვნილი წილის ფულადი კომპენსაცია. პლენუმის დადგენილებამ, როგორც გამონაკლისი, შესაძლებლად ჩათვალა, რომ საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეებს ან ერთ-ერთ მესაკუთრეს დაევალოს მისცეს სახლის წილის ფულადი კომპენსაცია იმ მესაკუთრეს, რომელიც სახლიდან წილს მოითხოვს, როდესაც ამ მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში ძალზე მცირეა, მისი რეალურად გამოყოფა შეუძლებელია. ამავე დროს იგი არ ცხოვრობს საერთო საკუთრების სახლში და უზრუნველყოფილია სხვა საცხოვრებელი ბინით.

სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში წლების მანძილზე წარმოიშობოდა ძნელად გადასაჭრელი დავები, რომლებიც შეეხებოდა საცხოვრებელი სახლის წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მ). ძირითადად საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებად მიიჩნევდნენ პირებს და ავრცელებდნენ მათზე წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას იმ პრინციპით, რომ სახლს ჰქონდა საერთო გადახურვა და საერთო კონსტრუქციები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირები უკვე დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ მათთვის გამოყოფილ ნაწილში. პლენუმის დადგენილებამ ამ საკითხში მეტად საჭირო სიცხადე შეიტანა და მიუთითა, რომ საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლიდან წილის გამოყოფა იწვევს ამ ნაწილზე საერთო საკუთრების უფლების შეწყვეტას და უკარგავს დანარჩენ მესაკუთრეებს ამ წილზე უპირატესი შესყიდვის უფლებას.

ასეთია ის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიახლენი, რომლებიც მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო საცხოვრებელი სახლის პირადი საკუთრების უფლების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიად თვლის ამ უფლების თაობაზე წარმოშობილი დავების სწორად გადაწყვეტას სასამართლოებში და თავის მოღვაწეობაში ჯეროვან ადგილს უთმობს ამ საკითხზე სწორი, ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრებას. ამ კატეგორიის საქმეები შეტანილია იმ მუდმივ მნიშვნელოვან პრობლემათა რიცხვში, რომლებზეც სისტემატურად ხდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

სასამართლო კოლეგიის მიერ კონკრეტულ საქმეთა განხილვის დროს გამოვლენილი ყოველი დარღვევა კოლეგიის მკაცრი მსჯელობის საგანი ხდება. როგორც წესი, ეს დარღვევები შეიტანება სამოქალაქო კოლეგიის მიერ გამოვლენილ სასამართლო შეცდომების ყოველთვიურ მიმოხილვაში და ეგზავნება ქვემდგომ სასამართლოებს. დარღვევების მიმართ აგრეთვე გამოყენებულია რეაგირების ისეთი საშუალებები, როგორიც არის კერძო განჩინებანი და წერილები (1980 წელს და 1981 წლის პირველ ნახევარში ქვემდგომი სასამართლოების მიმართ გამოტანილ იქნა 16 კერძო განჩინება და გაიგზავნა 20 წერილი).

უეჭველია, პლენუმის ზემოთ აღნიშნული დადგენილება დიდად შეუწყობს ხელს სასამართლო პრაქტიკაში საცხოვრებელი სახლის პირადი საკუთრების უფლების თაობაზე წარმოშობილი დავების მართებულად გადაწყვეტას.

# სასამართლო პრაქტიკა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეებზე

ბ. ცირამუა,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო უკანასკნელ ხანს დიდ ყურადღებას აქცევს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეთა კანონის შესაბამისად გადაწყვეტას. სახალხო სასამართლოებიც უფრო სწორად განიხილავენ ამ კატეგორიის საქმეებს და კანონიერი, დასაბუთებული გადაწყვეტილებები გამოაქვთ.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს სამოქალაქო საქმეთა სამი სახის წარმოებას:

1. სასარჩელოს, 2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილს, და 3. განსაკუთრებულს.

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა განსაკუთრებული წარმოების საქმეებს განეკუთვნება. მას დათმობილი აქვს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-260-ე მუხლები.

ამ საკითხზე კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს ერთადერთი დადგენილება აქვს მიღებული 1966 წლის 25 თებერვალს და მას შემდეგ, თუმცა 15 წელზე მეტი გავიდა, მას არაფერი დამატებია და არც ცვლილება განუცდია.

ამრიგად, ერთი შეხედვით, თითქოს ამ კანონის გამოყენება არ უნდა იყოს რთული და სასამართლოებსაც არ უნდა მოსდიოდეთ შეცდომები იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეთა განხილვის დროს, მაგრამ ეს ასე არ არის.

ამ კატეგორიის საქმეების მართებულად განხილვა-გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სასამართლოები ძალიან ბევრ საქმეს განიხილავენ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ.

1978 წელს სასამართლოებში განხილული ყველა სამოქალაქო საქმის 12 პროცენტზე მეტი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენას შეეხებოდა.

1979 წელს ყველა განხილული სამოქალაქო საქმის 14 პროცენტი ამ კატეგორიის საქმეებზე მოდიოდა, ხოლო 1980 წელს — 20 პროცენტზე მეტი.

ამრიგად, გარდა იმისა, რომ სასამართლოებში ამ კატეგორიის საქმეები საერთოდ ბევრი იხილება, მათი ხვედრითი წილი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თანდათანობით იზრდება.

სასამართლოები განმცხადებელთა მოთხოვნას იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ უმთავრესად აკმაყოფილებენ. კერძოდ, 1978-

1980 წლებში განხილულ განცხადებათა მოთხოვნის 98-99 პროცენტი დაკმაყოფილებულია.

ყურადსაღებია, რომ ამავე წლებში სულ განხილულ სამოქალაქო საქმეთა 90-91 პროცენტზეა სარჩელი დაკმაყოფილებული.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან საკასაციო წესით გასაჩივრებულია უმნიშვნელო რაოდენობა, ხოლო პროკურორების საკასაციო პროტესტებს მეტისმეტად იშვიათად ვხვდებით.

პრაქტიკის განზოგადების მიზნით რესპუბლიკის 15 რაიონის და ქალაქის სასამართლოებიდან შერჩევით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა ამ კატეგორიის 300 საქმე.

გარდა ამისა, განზოგადებისათვის გამოყენებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მასალები, კერძოდ, საქმეთა საკასაციო საჩივრებისა და ზედამხედველობის წესით პროტესტების განხილვის საფუძველზე გამოტანილი განჩინებები, აგრეთვე უმაღლეს სასამართლოში ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივრის საფუძველზე შემოწმებული საქმეები, რომლებზეც გადაწყვეტილებები არ გაპროტესტებულა.

პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის, რომ სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას უშვებენ შეცდომებს ქვემდებარეობის საკითხის განსაზღვრისას.

კერძოდ, სასამართლოები ზოგჯერ განიხილავენ ისეთ საქმეებს, რომლებიც მათი ქვემდებარე არ არის.

ცნობილია, რომ იურიდიული ფაქტი ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ცნობის შესახებ შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ურთიერთობა აღმოცენდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე და გრძელდებოდა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე. ეს დებულება განმეორებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილების მეექვსე პუნქტშიც.

მიუხედავად ამისა, სასამართლოები ზოგჯერ ადგენენ იურიდიულ ფაქტს ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის შესახებ, რომლებიც 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ აღმოცენდა.

მაგალითად, მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლომ 1980 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ სოფიო პაპუნოვა 1960 წლიდან იმყოფებოდა ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში კონსტანტინე არუზოვთან, რომელიც 1980 წლის 2 აგვისტოს გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, განიხილა რა საქმე გალინა ვასილის ასული არუზოვას საკასაციო საჩივრით, 1981 წლის 23 თებერვლის განჩინებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყვიტა როგორც სასამართლოს არაქვემდებარე. ამასთან კოლეგიამ სათანადო რეაგირება მოახდინა სახალხო სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებზე. როგორც ამ საქმის მასალებიდან ჩანს, კასატორი გალინა არუზოვა 1952 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება კონსტანტინე არუზოვთან.

ასეთივე შეცდომა დაუშვა თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ, როცა დაადგინა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ცაცა კუჭაიძე 1955 წლიდან იმყოფებოდა ფაქტობრივ ცოლქმრულ ურთიერთობაში 1979 წელს გარდაცვლილ ვალერიან ოგანოვთან. ამ უკანონო გადაწყვეტილებაში მეორე შეცდომაც არის, სასამართლომ არ მიუთითა ფაქტობრივი ქორწინების დაწყების თარიღზე.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილი იყო ფაქტი იმის შესახებ, რომ ნინო ზეიკიძე-მანჯიკაშვილი და აწ გარდაცვლილი დავით მანჯიკაშვილი 1953 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ცოლქმრულ ურთიერთობაში, ხოლო საქმის წარმოება შეწყვიტა. ეს საქმე კოლეგიამ განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტით.

ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები ხანდახან უშვებენ ამის საპირისპირო შეცდომებსაც, კერძოდ, წარმოებით წყვეტენ ისეთ საქმეებს, რომლებიც სასამართლოს ქვემდებარეა.

მაგალითად, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ 1981 წლის 16 იანვრის განჩინებით წარმოებით შეწყვიტა თამარ ბიგანაშვილის განცხადების საფუძველზე აღძრული საქმე. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ბიგანაშვილის სახელი და მამის სახელი როგორც დაბადების მოწმობით, ასევე პასპორტით არის თამარ თომას ასული, ხოლო შრომის წიგნაკში შეცდომით არის მოხსენებული თალიკო ტიმოთეს ასულად. იგი განცხადებით სასამართლოს თხოვდა იმ ფაქტის დადგენას, რომ შრომის წიგნაკი მას ეკუთვნის, რასაც პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მეხუთე პუნქტი. განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა სჭირდებოდა პენსიის დასანიშნად, რაზეც უარს ეუბნებოდნენ შრომის წიგნაკში შესწორების შეუტანლად.

სახალხო სასამართლომ ამ საქმის განხილვის დროს სხვა შეცდომებიც დაუშვა. კერძოდ, საქმე განიხილა სასარჩელო და არა განსაკუთრებული წარმოების წესით, გარდა ამისა განჩინების გასაჩივრების ვადად განსაზღვრა ხუთი დღე, ნაცვლად 14 დღისა.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ თ. ბიგანაშვილის კერძო საჩივრის საფუძველზე გააუქმა სახალხო სასამართლოს განჩინება და საქმე გაუგზავნა სახალხო სასამართლოს არსებითად განსახილველად.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ დაადგინა ფაქტი იმის შესახებ, რომ განმცხადებლის ქმარი გარდაიცვალა არა გულის ინფარქტით, როგორც ის აღნიშნულია გარდაცვალების მოწმობაში, არამედ იმის შედეგად, რომ იგი მწყემსად ყოფნის დროს გადავარდა კლდიდან. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ამ ფაქტის დადგენა განმცხადებელს სჭირდებოდა მისი ქმრის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს დაღუპვის გამო პენსიის დასანიშნავად.

უმაღლესმა სასამართლომ სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოება შეწყვიტა, რადგან გარდაცვალების მიზეზის დადგენა არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას დაშვებული შეცდომები იმითაც არის გამოწვეული, რომ კანონი არ იძლევა ამომწურავ ნუსხას იმ იუ-

რიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა, რომელთა დადგენაც სასამართლოს განსჯადია.

კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის 1-9 პუნქტებში ჩამოთვლილია ცხრა სხვადასხვა სახის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, ხოლო ამავე მუხლის მე-10 პუნქტი ითვალისწინებს იურიდიული მნიშვნელობის სხვა ფაქტების დადგენასაც.

იმას, თუ რას გულისხმობს ეს „სხვა ფაქტები", განსაზღვრული არ არის არც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილებით და არც რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებით.

ზოგიერთ სასამართლოში ამ კატეგორიის საქმეებს სწორად, კანონის შესაბამისად იხილავენ, სამწუხაროდ, ეს ყველა სასამართლოზე არ ითქმის.

მაგალითად, ისეთ შედარებით პატარა და სასამართლო პრაქტიკით ნაკლებად მდიდარ ლენინგორის რაიონში სახალხო სასამართლოს 1980 წლის პირველ კვარტალში განხილული აქვს ორი საქმე შრომის წიგნაკში გვარის არასწორად ჩაწერის თაობაზე. ორივე საქმე განხილულია დაინტერესებულ პირებისა და პროკურორის მონაწილეობით. წარმოდგენილია ყველა საჭირო მტკიცებულებანი და გადაწყვეტილებებიც ორივე საქმეზე კანონიერი და დასაბუთებულია.

ცუდად განიხილავს ამ კატეგორიის საქმეებს თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლო. აქ შემოწმებული ექვსი საქმიდან არც ერთი არ არის განხილული დაინტერესებული პირის მონაწილეობით. განმცხადებელთა უმრავლესობას იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა პენსიის დასანიშნავად სჭირდებოდა, ამიტომ სასამართლოს დაინტერესებულ პირად უნდა გამოეწვია სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება. ამგვარად, ამ სასამართლოში სისტემატურად ირღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 254-ე მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნები.

სალომე ფეოდოროვას საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით საქმე განხილულია თეთრ წყაროში, სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით კი დაბა მანგლისში.

ასპინძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1980 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით დაადგინა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ თუთა მელიქიძე იმყოფებოდა 1970 წელს გარდაცვლილი იასონ მელიქიძის კმაყოფაზე, საქმეში კი დაინტერესებულ პირად არ ჩაბა ადიგენის ცენტრალური შემნახველი სალარო, თუმცა განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა უნდოდა იმისათვის, რომ შემნახველი სალაროდან მიეღო გარდაცვალებულის სახელზე რიცხული ანაბარი — 1208 მან. 86 კაპ.

რამდენიმე საქმე (ნ. აგლაძის, რ. ბოკუჩავას, მ. ბუტულაშვილის და სხვ.) ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ასევე დაინტერესებული პირის მონაწილეობის გარეშე განიხილა.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1980 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ნოვრუზ მოლა ოღლი რუგაევის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამარ-

თლო კოლეგიამ ნ. რუგაევის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, 1980 წლის 19 ნოემბრის განჩინებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყვიტა როგორც სასამართლოს არაქვემდებარე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. რუგაევი განცხადებით მოითხოვდა სასამართლოს დაედგინა, რომ იგი დაბადებულია 1923 წელს და არა 1927 წელს, როგორც ეს მის პასპორტშია აღნიშნული.

საკასაციო საჩივარში ნ. რუგაევი აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ არის მითითება კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ.

კოლეგიამ გააუქმა გადაწყვეტილება და შეწყვიტა საქმის წარმოება, იხელმძღვანელა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის დადგენილების მეხუთე პუნქტით, რომლის თანახმადაც სასამართლოებმა უნდა იქონიონ მხედველობაში, რომ ასაკის განსაზღვრა დაბადების შესახებ ჩანაწერების აღდგენისას წარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოების მიერ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად და, ამრიგად, ასაკის განსაზღვრა არ არის სასამართლოს ქვემდებარე.

გარდა ამისა, ნ. რუგაევს ამ ფაქტის დადგენა სჭირდებოდა პენსიის დანიშვნისათვის, სასამართლომ კი საქმეში დაინტერესებულ პირად არ ჩაბა სოციალური უზრუნველყოფის ორგანო.

საქმის განხილვისას სახალხო სასამართლოში მონაწილეობდა ბოლნისის რაიონის პროკურორის თანაშემწე გ. ნიკურაძე. ნაცვლად იმისა, რომ მიეცა დასკვნა საქმის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან იგი არ იყო სასამართლოს ქვემდებარე, მან მცდარი დასკვნა მისცა სასამართლოს განმცხადებლის მოთხოვნის უარყოფის შესახებ იმ საფუძვლით, რომ ნ. რუგაევმა ვერ დაამტკიცა თავისი მოთხოვნა.

რაიონის პროკურორს სასამართლოს ამ უსწორო გადაწყვეტილების გამო საკასაციო პროტესტი არ შეუტანია და გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა მოხდა თვით განმცხადებლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 1980 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ალბერტ მოსესოვის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის — პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ზედწესით პროტესტით იქნა გაუქმებული შემდეგი გარემოებების გამო: სასამართლომ დააკმაყოფილა ალბერტ მოსესოვის განცხადების მოთხოვნა იმის შესახებ, რომ განმცხადებლის მამა ლევან გურგენის ძე მოსესოვი, რომელიც გარდაიცვალა 1965 წლის 27 ნოემბერს და არშაკ გურგენის ძე მოსესოვი, რომელიც გარდაიცვალა 1980 წლის 4 მაისს, იყვნენ ძმები.

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ განმცხადებელს ამ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა სჭირდებოდა სამკვიდრო ქონების მისაღებად როგორც არშაკ გურგენის ძე მოსესოვის ძმისშვილს. ამასთან როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, არ აღმოჩნდა არშაკ გურგენის ძე მოსესოვის დაბადების მოწმობა.

სახალხო სასამართლოს მიერ ამ საქმის განხილვის დროს არ არის დაცუ-

ლი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილების მეცხრე და მეათე პუნქტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გაერკვია, რომელი პირები და ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ დაინტერესებული ამ საქმის განხილვა-გადაწყვეტით და ისინი არ ჩაუბია საქმის განხილვაში.

სასამართლოს განმცხადებლისათვის არ მოუთხოვია იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ არ აღმოჩნდა არშაკ გურგენის ძე მოსესოვის დაბადების მოწმობა.

ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარში მოქ. სვეტლანა მიხეილის ასულ პუტილინამ აღნიშნა, რომ ლევან გურგენის ძე მოსესოვი და არშაკ გურგენის ძე მოსესოვი არ იყვნენ ძმები და ამავე დროს წარმოადგინა არშაკ გურგენის ძე მოსესოვის დაბადების მოწმობის ასლი, თან მოითხოვა იგი საქმეში ჩაებათ დაინტერესებულ პირად.

კოლეგიამ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ საჭიროა საქმის ხელახლა განსახილველად მომზადების დროს სასამართლომ გამოარკვიოს ვინ არიან ამ საქმის განხილვით დაინტერესებული პირები, ჩააბას ისინი საქმეში, შეაგროვოს საჭირო მტკიცებულებანი და ამის შემდეგ გამოიტანოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებს სასამართლო განიხილავს განმცხადებლისა და დაინტერესებული მოქალაქეების, წარმოებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლისა, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს დაადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თუ შეუძლებელია დაკარგული საბუთის აღდგენა.

სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მოქალაქეებისა და სოციალისტური ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის. ამ საქმეების გადაწყვეტისას სასამართლოებმა შესაძლებლობა უნდა მოუსპონ ცალკეულ პირებს გამოიყენონ სასამართლო წესით იურიდიული ფაქტის დადგენა შეღავათებისა და სხვა ქონებრივი გამორჩენის შემდგომი არამართლზომიერი მიღების მიზნით.

# პროკურორის სარჩელები და მათი სასამართლოში განხილვა

ჟ. ხიდეშელი,
საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების
უფროსის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

„სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ" კანონით და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით პროკურორს უფლება აქვს წარადგინოს სასამართლოში სარჩელი ყოველ სამოქალაქო საქმეზე, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი, აგრეთვე მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები.

პროკურორების მიერ სასამართლოებში შეტანილ სარჩელთა პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბოლო დროს პროკურორებმა გააქტიურეს საქმიანობა როგორც სარჩელების წარდგენის, ისე მათი სასამართლოში განხილვისადმი ზედამხედველობის ხაზით.

პროკურორების ინიციატივით 1981 წლის 9 თვეში წარდგენილია ასობით სარჩელი, რომლებიც მიზნად ისახავს გაფლანგვა-დატაცებით და სხვა დანაშაულებრივი ქმედობით სახელმწიფოსათვის და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის, აგრეთვე დანაშაულით დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობაზე გაწეული ხარჯების, შრომის კანონმდებლობის დაღვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და სხვა.

სასარჩელო განცხადების შედგენის დროს პროკურორი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლით, მაგრამ პროკურორები ყოველთვის არ იცავენ ამ მუხლის მოთხოვნას. სახელდობრ, ზოგიერთ სასარჩელო განცხადებაში არ მიუთითებენ მოსარჩელეს და მოპასუხეს მაიაკოვსკის, მესტიის რაიონების და ქ. ბათუმის პროკურორები, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის პროკურორის ყველა სასარჩელო განცხადებებში მოსარჩელეა რაიონის პროკურორი.

სარჩელის წარდგენის საჭიროებას წყვეტს თვით პროკურორი, რომელიც მანამდე მოვალეა საფუძვლიანი შემოწმებით გაარკვიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, შეაგროვოს საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო მტკიცებულებანი, გამოიძახოს და გაესაუბროს იმ პირს ან ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომლის მიმართაც აპირებს სარჩელის წარდგენას.

არის ფაქტები, როდესაც პროკურორებს წინასწარ შეუმოწმებლად შეაქვთ სარჩელები. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მარნეულის პურის მიმღები საწარმოს დირექციამ მარნეულის რაიონის პროკურორს წარუდგინა მასალები მწონავ ნ. აგაკიშევის დაუდევრობის შედეგად მიყენებული ზარალის ირგვლივ გამოძიების ჩასატარებლად და ზარალის ასანაზღაურებლად. რაიონის პროკურორმა შეუმოწმებლად აღძრა სარჩელი სახალხო სასამართლოში, რათა მიყენებული ზარალი — 680 მანეთი ნ. აგაკიშევს დაკისრებოდა. სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ ნ. აგაკიშევს ბრალი არ მიუძღო-

და წარმოშობილ ზარალში, პროცესზე პროკურორმა მოითხოვა სარჩელის უარყოფა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რაც უცვლელად დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ.

საგრძნობლად გაიზარდა წამატებებით და ანგარიშგების სხვა დამახინჯებებით, უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის დამზადებით და გამოშვებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით წარდგენილი სარჩელების რაოდენობა.

უხარისხო პროდუქციის გამოშვებისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და მათს მოადგილეებს, აგრეთვე სტრუქტურული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებსა და მათს მოადგილეებს, მათ შორის ტექნიკური კონტროლის განყოფილებების უფროსებს და მათს მოადგილეებს. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 120-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მათ ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა, მაგრამ არა უმეტეს მათი საშუალო თვიური გამომუშავებისა. ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტექნიკური კონტროლის მუშაკებს, რომლებიც პასუხს აგებენ ნაწარმის მიღების, მათი ხარისხის განსაზღვრის, დამკვეთისათვის გადასაცემად გაფორმებისათვის. მაგრამ ამ კატეგორიის სარჩელების წარდგენისას პროკურორები მოითხოვენ მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ დირექტორებს, მთავარ ინჟინრებს და ტექნიკური კონტროლის უფროსებს. ამრიგად, ვაწყდებით არასათანადო მოპასუხის მიმართ სარჩელის აღძვრის ფაქტებს.

ქ. ბათუმის პროკურორის მიერ წარდგენილ იქნა სარჩელი ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის ლაბორატორიის გამგის მიმართ უხარისხო თამბაქოს გამოშვებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ერთი თვის ხელფასის დაკისრების შესახებ. სასამართლომ სარჩელი უარყო იმ მოტივით, რომ მოპასუხე არ იყო პასუხისმგებელი თამბაქოს პროდუქციის გამოშვებისათვის, მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მიღებული ნედლეულისათვის.

რაიონის პროკურორმა, რომელიც ახორციელებს რაიონში ზედამხედველობას კანონიერების დაცვისადმი, სარჩელი მაშინ უნდა წარადგინოს, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს, კოლმეურნეობის და მოქალაქის კანონიერი ინტერესი, თუ უხეშად არის დარღვეული კანონი. ზოგ პროკურორს კანონის ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ სასამართლოში შეაქვს ისეთი სარჩელი, რომელიც არ გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლით საქმის შეწყვეტის თაობაზე გამომძიებელი ადგენს დასაბუთებულ დადგენილებას, რომლითაც უნდა გადაიჭრას ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ბედი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიგანყოფილების გამომძიებლის დადგენილებით ამნისტიის გამოყენების გამო არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გ. ჯაჟის მიმართ, რომელმაც დაუდგენელი პირისგან შეიძინა 21 ცალი თუნუქის მოთუთიებული ფურცელი. ამავე დადგენილებით გადაწყდა ნივთმტკიცების ბედი: უკანონოდ შეძენილი და ჩამორთმეული თუნუქი რეალიზებულ იქნა და თანხა ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. მიუხედავად ამისა, ახმეტის რაიონის პროკურორმა საქართველოს სსრ სსსკ 41-ე მუხლის საფუძველზე აღძრა სარჩელი თუნუქის კონფისკაციის შესახებ, რაც მცდარია და

ეწინააღმდეგება სსკ 41-ე მუხლის მოთხოვნას როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

პროკურორი, რომელიც ასრულებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას კანონის დაცვისადმი ზედამხედველობის შესახებ, პროცესზე მონაწილეობს როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი.

კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის პროცესში პროკურორის მონაწილეობის ორ ფორმას: პირველი — როცა საქმე განიხილება მის მიერ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე, მეორე — როდესაც პროკურორი ებმება საქმის განხილვის პროცესში.

პროკურორის მონაწილეობის ფორმითვე განისაზღვრება მისი პროცესუალური მდგომარეობა. სარჩელის წარმდგენი პროკურორი სასამართლო პროცესზე ვალდებულია ამტკიცოს სასარჩელო მოთხოვნები, შეეკამათოს მოპასუხეს, შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, პირველი გამოდის მხარეთა კამათში, მაგრამ პროკურორი ვერ შეცვლის პროცესში იმ პირს ან ორგანიზაციას, რომლის ინტერესების დასაცავადაც აღიძრა სარჩელი.

ეს პირი პროცესში ყოველთვის დარჩება როგორც მოსარჩელე და მასზე გავრცელდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. ამიტომ, თუნდაც პროკურორმა აღარ დაუჭიროს მხარი თავის სარჩელს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით სასამართლომ უნდა განაგრძოს საქმის განხილვა.

საქართველოს სსრ სსკ 33-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ იმ პირს, რომლის ინტერესებისათვისაც დაწყებულია საქმე პროკურორის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირის, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან ცალკეული მოქალაქის განცხადებით, თუ მათ კანონით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ეცნობება აღძრული პროცესის შესახებ და იგი მონაწილეობს მასში მოსარჩელედ.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ, რომელმაც განიხილა ქალაქის პროკურორის სარჩელის საფუძველზე აღძრული საქმეები, სასამართლო პროცესში მოსარჩელედ არ ჩააბა, სხდომაზე არ გამოიწვია და არ დაჰკითხა ის ორგანიზაციები, რომელთა სასარგებლოდაც იყო აღძრული სარჩელები. სხდომის ოქმში მოსარჩელედ მითითებულია ქალაქის პროკურატურა. მოსარჩელედ დაკითხულია აგრეთვე პროკურატურის წარმომადგენელი, გადაწყვეტილებაშიც მოსარჩელედ მითითებულია ქალაქის პროკურატურა, მხოლოდ გადაწყვეტილების რეზოლუციურ ნაწილში აღნიშნულია, თუ რომელი ორგანიზაციის სასარგებლოდ ეკისრება თანხა მოპასუხეს ან რომელ ორგანიზაციას ეთქვა უარი სარჩელში.

ასევე კანონის დარღვევით, არასრულყოფილად განიხილა გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ რაიონის პროკურორის სარჩელები და ს. ჯიმითის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის კომპლექსის სასარგებლოდ ფერმების გამგეებს და ბრიგადირებს დაეკისრა იძულებით დაკლული ცხვრების ხორცის გამოსავლიანობის ფასთა სხვაობა და სუბპროდუქტების ღირებულება.

სასარჩელო განცხადებები, რომლებიც დაბეჭდილია ბლანკზე, შევსებულია მელნით. მონაცემებში შეტანილია მოპასუხის გვარი, სახელი, მამის სახე-

ლი, მისამართი და დასაკისრებელი თანხა. მას დართული აქვს სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის დადგენილების ასლი.

ამ ტრაფარეტულ სასარჩელო განცხადებებიდან არ ჩანს, თუ რომელ ფერმაში მუშაობდა მოპასუხე, რამდენი ცხვარი დაიკლა მის ბრიგადაში და რამდენი კილოგრამი გამოსავლიანობა იყო ნორმაზე ნაკლები, რამდენი კილოგრამი სუბპროდუქტები არ გატარდა შემოსავალში და რა ღირებულებით არის განსაზღვრული სადავო თანხა.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ ნაცვლად იმისა, რომ შეევსო ეს ხარვეზები, ერთ დღეს განიხილა 24 საქმე მოპასუხეთა გამოუძახებლად და დაუსწრებლად. სასამართლოს არ მოუსმენია სასარჩელო მოთხოვნის ირგვლივ მოპასუხეთა განმარტებები, ისე დააკისრა მათ სასარჩელო თანხები, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ სსკ 151-ე და 164-ე მუხლების მოთხოვნა.

მით უმეტეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება იმ დავების გადაწყვეტისას, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს კოლმეურნეობა „სასამართლოს მიერ კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ სასამართლოს ავალებს საქმეთა განხილვის დროს, რომლებიც შეეხება კოლმეურნეობების სარჩელს თანამდებობის პირთა (თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ფერმის გამგეების და სხვათა) მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, გაითვალისწინოს, რომ დაუშვებელია მათ მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისროს ისეთი ზარალისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული მათს ბრალეულობასთან და მიეკუთვნება ნორმალურ საწარმოო-სამეურნეო რისკის კატეგორიას. ამდენად, სასამართლოს უნდა გამოეწვია პროცესზე მოპასუხეები და დაედგინა მათი ბრალი მიყენებულ ზარალში.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორის ინიციატივით აღძრული სარჩელები არ არის მიღებული განსახილველად მოსამართლის რეზოლუციის საფუძველზე, რითაც დარღვეულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მოთხოვნა.

თბილისის ტრანსპორტის პროკურორმა, ამიერკავკასიის რკინიგზის ინტერესებიდან გამომდინარე, სარჩელი შეიტანა 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოში თბილისის საკვანძო სადგურის თანამშრომლების მიმართ დაუდევრობით და გაუფრთხილებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ რეზოლუციით უარი თქვა სარჩელის მიღებაზე და მასალებთან ერთად უკან დაუბრუნა პროკურატურას ისე, რომ არ გამოუტანია სათანადო განჩინება.

სასამართლოებში განხილული სარჩელების შესწავლით გამოირკვა, რომ ზოგიერთი სახალხო სასამართლო რკინიგზის ვაგონების მოცდენით მიყენებული ზარალის ანაზღაურების განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპით ხელფასის ერთი მესამედის ფარგლებში. შრომის კანონმდებლობით კი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მათს მოადგილეებს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 120-ე მუხლის მეორე პუნქტით მათი ბრალით ვაგონების მოცდენით მიყენებული ზიანის ოდენობის მიუხედავად ზარალის გადახდა უნდა დაეკისროს არა უმეტეს საშუალო თვიური გამომუშავებისა, სხვა

თანამდებობის პირებს — ინჟინრებს, მთავარ სპეციალისტებს, ექსპედიტორებს, ოსტატებსა და სხვებს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 119-ე მუხლით არა უმეტეს თვიური სატარიფო განაკვეთის ერთი მესამედისა.

მიუხედავად კანონის ამ მითითებისა, ზოგიერთი პროკურორი წარადგენს რა სარჩელს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელების, სტრუქტურული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების მიმართ, ითხოვს ზარალის ანაზღაურებას ხელფასის 1/3-დან 2/3-ს ფარგლებში, ნაცვლად თვიური გამომუშავებისა. გულრიფშის რაიონის პროკურორმა წარადგინა სარჩელები დრანდის სარემონტო-მექანიკური კომბინატის დირექტორის თ. თოდუას, ღვინის ქარხნის დირექტორის, ე. ბეჭვაიას და ბაბუშერის სახლმშენებელი კომბინატის დირექტორის ზ. ხარებავას მიმართ ვაგონების მოცდენით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე და მოითხოვა, რომ მათ დაკისრებოდათ თვიური განაკვეთის 2/3, ნაცვლად თვიური ხელფასისა. ზოგიერთი პროკურორი პირიქით სარჩელს ადგენს თვიური საშუალო ხელფასის ანაზღაურების შესახებ, იმ დროს, როდესაც უნდა წარედგინა სარჩელი ხელფასის 1/3-ს ანაზღაურებაზე. აჭარის ასსრ პროკურორმა წარადგინა სარჩელი რკინიგზის რესტორნების ექსპედიტორის მიმართ ვაგონების მოცდენით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე ერთი თვის ხელფასის ფარგლებში. სასამართლომ სწორად დააკისრა მოპასუხეს ხელფასის 1/3. ანალოგიური შეცდომები აქვთ დაშვებული ქალაქ ფოთის და ზესტაფონის რაიონის პროკურორებს.

ერთ სტატიაში შეუძლებელია ყველა იმ შეცდომის აღნუსხვა, რომლებსაც უშვებენ როგორც პროკურორები სარჩელის წარდგენის დროს, ასევე სასამართლოები ამ სარჩელების განხილვის დროს. ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილებამ შეიმუშავა და ქალაქის და რაიონის პროკურორებს დაუგზავნა მეთოდიკური სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება პროკურორებს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სამართალდარღვევებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით სარჩელების სწორად წარდგენაში.

---

# კანონიერებისა და წესრიგის საფარაჯოზე

ზ. ხაზალია,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი

წლეულს, მაისში საქართველოს მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებთან ერთად იზეიმეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომპარტიის შექმნის სახელოვანი 60 წლისთავი. ეს იყო ჭეშმარიტად საერთო-სახალხო დღესასწაული. ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა და მონოლითურობის მკაფიო დემონსტრაცია.

მშრომელთა რევოლუციური მონაპოვრის დაცვასა და განვითარებაში დიდია საბჭოთა მილიციის როლი, რომლის დღესასწაული ყოველწლიურად აღინიშნება 10 ნოემბერს. საბჭოთა მილიციის შექმნა, ჩამოყალიბება და განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. წარსულში მომხდარი რევოლუციების ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ვ. ი. ლენინმა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მესამე დღესვე მიზანშეწონილად ჩათვალა საბჭოთა მილიციის შექმნა. ვ. ი. ლენინის მითითებით რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება „მუშათა მილიციის შესახებ", რომელშიც ნათქვამი იყო:

„მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყველა საბჭო აყალიბებს მუშათა მილიციას.

მუშათა მილიცია მთლიანად და სავსებით იმყოფება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გამგებლობაში.

სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მუშათა მილიციას შეიარაღებასა და ტექნიკურ აღჭურვილობაში".

ამ პირველ აქტს საბჭოთა მილიციის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასში აისახა ლენინური იდეა მილიციის საქმანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და მის მშენებლობაში მშრომელი მოსახლეობის ფართო მონაწილეობის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა თავის უკვდავ ნაშრომებში მოგვცა პროლეტარული მილიციის შექმნის, განმტკიცებისა და განვითარების თეორიული საფუძვლები, მისი ორგანიზაციის და საქმიანობის პირნციპები. „რანაირი მილიცია გვესაჭიროება ჩვენ, პროლეტარიატს, ყველა მშრომელთ? ნამდვილად სახალხო, ე. ი., ჯერ ერთი, იგი უნდა შედგებოდეს გამოუკლებლივ მთელი მოსახლეობისაგან, ორივე სქესის ყველა მოზრდილ მოქალაქეთაგან; ხოლო, მეორეც, იგი სახალხო არმიის ფუნქციებს უნდა აერთებდეს პოლიციის ფუნქციებთან, სახელმწიფო წესრიგისა და სახელმწიფო მმართველობის მთავარი და ძირითადი ორგანოს ფუნქციებთან".[1]

რუსეთის ტერიტორიაზე შეიქმნა საგუბერნიო, სამაზრო, საქალაქო, რკინიგზის, წყლის ტრანსპორტის მილიციის ორგანოები. მილიციაში სამუშაოდ მობილიზაცია უყვეს წამყვან პროლეტარულ ძალებს, რომლებსაც კარგად ესმოდათ საბჭოთა სახელმწიფოს რევოლუციური და კლასობრივი ინტერესები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუშურ-გლეხური მილიციის კადრების შერჩევას და აღზრდას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით რევოლუციის გამარჯვების ერთი თვის შემდეგ სმოლნში მოეწყო მილიციის მეთაურთა კურსები. კურსანტებს ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ი. ლენინი შეტისმეტად მოუცლელი იყო, მან კურსანტებს რვა ლექცია წაუკითხა. ვ. ი. ლენინმა მსმენელთა ყურადღება მიაპყრო მუშათა მილიციის კრაზმების განმტკიცების აუცილებლობას, მუშაობის სტრუქტურის, ფორმების და მეთოდების სრულყოფას. „ყოველი რევოლუცია — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შესწევს უნარი თავი დაიცვას".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რევკომი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებითა და საბჭოთა რუსეთის სამი წლის უმდიდრესი გა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 434.

მოცდილებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში შეუდგენენ მუშურ-გლეხური მილიციის შექმნას. საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის ფორმირებასა და მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ლ. ქართველიშვილი, ბ. კვირკველია, ს. გეგეჭკორი, მ. კახიანი და სხვები.

1921 წლის 20 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რევკომმა მიიღო დეკრეტი „მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ". „მუშათა და გლეხთა მილიციას, — ნათქვამი იყო დეკრეტში, — როგორც შეიარაღებულ სამხედრო ორგანოს, ენიჭება მნიშვნელობა საგანგებო დანიშნულების შეიარაღებული ნაწილისა, აქედან გამომდინარე უფლებებითა და მოვალეობებით".

მუშურ-გლეხური მილიციის რიგებს, როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც, მოხალისენი, მობილიზებული მუშები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ რეკომენდებული პირები ავსებდენ.

უადრესად მრავალმხრივი იყო მილიციის საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პერიოდში. კონტრრევოლუციის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მუშურ-გლეხური მილიცია აქტიურად ეხმარებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელმძღვანელ ორგანოებს, მათ შორის ფინანსთა, იუსტიციის, მიწათმოქმედების, შრომის, ფოსტა-ტელეგრაფის, ჯანმრთელობის, სამხედრო კომისარიატებს, რკინიგზის სამმართველოს და საგანგებო კომისიას.

შეუძლებელია დაასახელო რევოლუციური საქართველოს მშრომელთა საქმიანობის რომელიმე მნიშვნელოვანი უბანი, დაწყებული ხვნა-თესვით და დამთავრებული კონტრრევოლუციონერთა დათრგუნვამდე, სადაც მუშურ-გლეხურ მილიციას თავისი გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვას.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. იმპერიალიზმის აგენტები, დამხობილი კლასების ნაშთები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დაძლიეს ეს წინააღმდეგობანი და ამ საქმეში დიდი წარმატებები მოიპოვეს.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში საქართველოს მუშურ-გლეხურ მილიციას თავის მხრებზე გადაჰქონდა კულაკურ ბანდიტებთან და საბოტაჟთან, კონტრრევოლუციური და სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებთან, სპეკულანტებთან, მძარცველებთან და სხვა სახის დამნაშავეებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე.

რესპუბლიკის მილიციის ორგანოები უშუალოდ პრაქტიკულად ეხმარებოდნენ მშრომელებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში. მილიციის ორგანოები შეფობას უწევდნენ სოფლებს, ეხმარებოდნენ გლეხებს გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენაში, აცნობდნენ მათ იმ კანონებს, რომლითაც დაცული იყო გლეხთა უფლებები და ინტერესები, იმ შეღავათებსა და უპირატესობებს, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ დარიბ გლეხობას, ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე და ორგანიზებულად ჩატარებაში, პლანტაციების გაშენებაში, სიმინდის ყანების დამუშავებაში, ვაზის მოვლა-პატრონობაში. თბილისის მილიციის გარნიზონმა 1936 წელს ორი ათასი მანეთი შეაგროვა საშეფო სოფლისათვის ტრაქტორის შესაძენად.

საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის თავდადებული შრომა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის ნაჩვენებია 1932-1933 წლებში დადგმულ ორნაწილიან ფილმში — „საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია სამეურნეო ფრონტზე", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

მართლწესრიგის განმტკიცებასა და სახელმწიფო ქონების დამტაცებლების, სპეკულანტების, მექრთამეების, საქმოსნების და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის და მთავრობის მიერ 1934-1937 წლებში გატარებულ ღონისძიებას, რომლითაც მილიციის სამმართველოსთან შეიქმნა სახელმწიფო ავტოინსპექციის, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებები და სხვა ოპერატიული დანაყოფები.

მილიციის ორგანოებთან სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის აპარატის შექმნამ მნიშვნელოვნად აამაღლა რესპუბლიკის მილიციის სამსართველოს მაორგანიზებელი როლი, ოპერატიული ხელმძღვანელობა ძირეული ორგანოებისადმი. მილიციის ორგანოებმა სწორად გამოიყენეს მათ ხელთ არსებული შესაძლებლობანი, მოსახლეობის მხარდაჭერა, და მთელი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საკოლმეურნეო საკუთრების დამტაცებლებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მუშურ-გლეხური მილიცია პირნათლად ემსახურებოდა პარტიასა და ხალხს. იგი მტკიცედ იდგა სახელმწიფოს და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. უმკაცრესად იცავდა კანონიერებას და არ იშურებდა ძალას და ენერგიას სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხალხისათვის, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის უმძიმესი გამოცდის ჟამი იყო დიდი სამამულო ომი.

საქართველოს მილიცია ყოველთვის თავის ხალხთან იყო. მისი პირადი შემადგენლობის დაახლოებით 35 პროცენტი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, ხოლო ისინი, ვინც წესრიგის საგუშაგოზე დარჩა, ერთგულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, უძნელეს პირობებში თავდადებით ებრძოდა ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს, პანიკიორებს, დეზერტირებს, შეიარაღებულ ბანდებს, მტრის დესანტებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ყველას, ვინც ხელს უშლიდა მშვიდობიან ცხოვრებას ზურგში.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა მილიციის თავდადებულ მუშაკებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს ვაჟკაცურად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე. ეი მათი არასრული სია: ე. კაჭაევი, ი. ცხურბაევი, ი. თედეევი (სამხრეთ ოსეთი), უ. არაბული, ვ. გვეტაძე, (თიანეთი), შ. ოზიაშვილი, ვ. მინდიაშვილი, ს. მუმლაძე, ვ. საღინაშვილი (თბილისი), ა. ძიძარია, ი. აროშჩენკო (აფხაზეთი), შ. დოლიძე (აჭარა), ნ. მიგრიაული (მცხეთა), ა. კოჩარეოვი (თეთრი წყარო), ფ. მილაკი (ადიგენი) და მრავალი სხვა.

როცა მტრის ხელში აღმოჩნდა ჩრდილოეთი კავკასია და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს აშკარა საფრთხე შეექმნა, დედაქალაქის ქუჩებში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა მოხალისედ წავიდა ფრონტზე, მათი ადგილი კი ქალებმა დაიკავეს, რომლებმაც კეთილსინდისიერი მუშაობით ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს. იარაღით ხელში ებრძოდა კავკასიონის უღელტეხილზე მომდგარ ფაშისტურ ურდოებს რესპუბლიკის მთიანი რაიონების მილიციის თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა. ფრონტის მოახლოებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მილიციის თანამშრომლები.

ქართველი ჩეკისტები, სამშობლოს წინაშე დადებული ფიცის ერთგული ადამიანები, მამაცურად იბრძოდნენ არა მარტო ფრონტზე და ზურგში, არამედ პარტიზანულ შენაერთებშიც, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მტერს. შურისმაძიებელთა შორის იყო ქართველი ჩეკისტი მათე კვინტრაძე, რომელიც ბელორუსიის ტერიტორიაზე მტრის ზურგში მოქმედებდა. დაჭრილი დაბრუნდა იგი სამშობლოში და გამოჯანსაღების შემდეგ კვლავ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა — სათავეში ჩაუდგა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას და მრავალი მძარცველი მკვლელი და სისხლის სამართლის სხვა დამნაშავე გააუვნებლა.

საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა ამაყობს იმით, რომ სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მილიციის 800-ზე მეტი წარმომადგენელი საპასახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, აგრეთვე თავდადებისა და მამაცობის გამო დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ხოლო ქ. თბილისის მილიციის სკოლის კურსდამთავრებულებს, თბილისის მესამე განყოფილების ყოფილ თანამშრომელს გალაქტიონ რაზმაძეს და რკინიგზის სადგურ ზუგდიდის მილიციის თანამშრომელს ვლადიმერ ესებუას სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საბჭოთა მილიციის სახელოვანი ტრადიციები კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში რომ იშვა და დიდი სამამულო ომის პერიოდში რომ გამოიწრთო, ვითარდებოდა ომის შემდგომ პერიოდში და ამ სახელოვან ტრადიციებზე იზრდებოდა მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა.

ომის შემდგომ პირველ წლებში საქართველოს მილიციას დასჭირდა დიდად შეთხელებული თავისი პროფესიული ბირთვის აღდგენა. პარტიისა და მთავრობის მოწოდებით მილიციაში სამუშაოდ მოვიდა სამშობლოსათვის ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი ათასობით ფრონტელი, ისინი, ვინც გადაწყვიტა თავისი სიცოცხლეც კი შეეწირა სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირები: ა. პირმისაშვილი, ვ. ტარაბოვსკი, ა. ინასარიძე, ა. გურგენიძე, ვ. ლურსმანაშვილი, რომელთა გმირობაზე ლეგენდებია შეთხზული.

მილიციის სამსახური მუდამ ეშფოთვარე და ხიფათით აღსავსეა, „მილიციას, — ამბობს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი არმიის გენერალი ნ. ო. შჩოლოკოვი, — განსაკუთრებული სამსახური, განსაკუთრებული პროფესიული დანიშნულება აქვს. აქტიურად მოქმედებდეს ადამიანის პიროვნების ყველაზე საშიშროები და მახინჯი დეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის წინა ხაზზე. აქ რომანტიკა უფრო ცოტაა, ვიდრე რთული, სავერვიულო, საშიში და პირადი თვალსაზრისით ნაკლებად სახალისო შრომა... ეს არის მძიმე შრომა, მიუხედავად მისი ჰუმანურობისა, და ყველას როდი შესწევს უნარი გასწიოს იგი".[2] სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ საქართველოს საბჭოთა მილიციის ახალგაზრდა მუშაკები: სერჟანტი გ. კარიაული, ლეიტენანტები ა. ბურდული, ა. რზგოევი, ე. ჭეიშვილი, გ. გიორგაძე და სხვები.

კომუნისტური პარტია სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე განსაზღვრავდა მილიციის ამოცანებს და მიუთითებდა მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჩვენი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია საგანგებო დანიშნულების შეიარაღებული ნაწილებიდან გადაიქცა მაღალ-ორგანიზებულ ადმინისტრაციულ-აღმსრულებელ ორგანოდ, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის და რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ძირეული ორგანიზაციების მიერ მუშურ-გლეხური მილიციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის გატარებულმა ღონისძიებებმა ახალ საფეხურზე აიყვანა მილიციის ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობა, აამაღლა მისი ავტორიტეტი.

ამის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების ჩატარების უფლების მინიჭება. შეიქმნა დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი სრულყოფის, პროფილაქტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის, საგამოძიებო აპარატის სხვა სამსახურებთან მჭიდრო ურთიერთკავშირის, სპეციალიზაციის პრინციპის დანერგვის და სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენების რეალური შესაძლებლობები.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის ხელმძღვანელობით მილიციის ორგანოებში კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპების დანერგვამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის მილიციის ორგანოების საქმიანობაზე.

თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო საბჭოთა მილიციის და მათ შორის საქართველოს მილიციის ისტორიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის დადგენილება — „მილიციის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილება სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტებში განსაზღვრულია სოციალიზმისათვის უცხო ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მაგისტრალური მიმართულებანი. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებმა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით განახორციელეს პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ფართო კომპლექსი სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ამასთანავე შეურიგებელი კლასობრივ-პოლიტიკური მიდგომა გამოიჩინეს ნეგატიური მოვლენების შეფასებაში და წარმატებით ასრულებენ დასახულ ამოცანებს. საქართველოს საბჭოთა მილიცია თახამიმდევრულად იბრძვის სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, იცავს საბჭოთა მოქალაქეების სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს და ინტერესებს.

---

[2] გაზ. „კომუნისტი" 1981 წ. 27 ივნისი.

საქართველოს საბჭოთა მილიციის ცენტრალურ აპარატსა და მისი პერიფერიის დანაყოფებში გავლილი წლების მანძილზე მუდამ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ოპერატიული მუშაკები. ეს პროფესიული ბირთვი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ყველაფერს აკეთებდა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა უსწრაფესად გაუვნებლებისა და ლიკვიდაციისათვის. რესპუბლიკის მილიციის ხელმძღვანელი ოპერატიული მუშაკების — კ. ნაჭყებიას, ი. ულენტის, ნ. გრიგოლიას, გ. ჭელიძის, ა. გოცირიძის, ტ. კაკაურიძის, ი. ფოფხაძის, ვ. სიხარულიძის, დ. თოდრაძის, ნ. გეგეჭკორის, ი. ქემოკლიძის, ი. დადიანის, ზ. კუდუხაშვილის, გ. რობაქიძის, გ. შალამბერიძის, შ. პოკუჩავას, გ. შავლუხაშვილის, გ. ჯიქიას, ვ. თალაკვაძის, ო. პაპავას, თ. სანგელიას, ვ. გაგლოევის, გ. შავლოხოვის, ვ. მენაღარაშვილის, მ. კვინტრაძის და სხვების სახელები მარად დარჩება, როგორც საბჭოთა მილიციის მუშაკების მაღალი პროფესიონალიზმის ხიბუში. ხოლო მათ მიერ ჩატარებული ოპერაციები რესპუბლიკის ქალაქებში, სოფლებში და საქართველოს ფარგლებს გარეთ საბჭოთა მილიციის საქმიანობის ბრწყინვალე ფურცლებია და ოქროს ასოებითაა შესული რესპუბლიკის ჩეკისტების ისტორიაში.

ჩვენი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მილიციის მთელ პირად შემადგენლობას ახალი საგმირო საქმეებისათვის მოუწოდა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. მართალია, სოციალიზმის მშენებლობის ყოველ ახალ ეტაპზე მილიციის წინაშე პარტია სულ ახალ-ახალ და რთულ ამოცანებს აყენებდა, მაგრამ მილიციისადმი დღევანდელი მოთხოვნები ძალზე დიდია და პასუხსაგები. ამასთან მილიციას თავისი საქმიანობისათვის ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორიც აქვს დღეს, არასოდეს არ ჰქონია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, ჩვენმა ხალხმა საბჭოთა მილიციას მისცა ყველაფერი სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის წარმატებით დაცვისათვის. შინაგან საქმეთა ორგანოები დღეს კომპლექტდება შრომითი კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაციებით მიღებული თანამშრომლობით, დღითი დღე უმჯობესდება თანამშრომელთა ხარისხობრივი შემადგენლობა. ამის შედეგად საქართველოს მილიციაში თანდათანობით ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის მუშაკი, რომელშიც ჰარმონიულადაა შეხამებული ჩეკისტის, აღმზრდელის, ორგანიზატორის და პროპაგანდისტის საუკეთესო თვისებები.

ყოველწლიურად უმჯობესდება საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. განვლილი წლების მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა მილიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. ამჟამად მილიციის თითქმის ყველა ქვედანაყოფი სრულყოფილად ფლობს და იყენებს თანამედროვე კრიმინალისტურ ტექნიკას, რადიოკავშირის საშუალებებს, დაცვის სიგნალიზაციას, სპეციალურად მოწყობილ ავტოტრანსპორტს. მისი აღჭურვილობა ივსება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით, სატელევიზიო აპარატურით, იზოტოპების და ფოტოელემენტების ტექნიკის გამოყენებაზე დაფუძნებული ხელსაწყოებით.

პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური ხაზია. ამ დებულებას საფუძვლად უდევს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ხასიათი. სახელმწიფოს, ხალხის, საზოგადოების თითოეული წევრის მთელი მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ აცილებულ იქნეს, ჩანასახის სტადიაში აღიკვეთოს სამართალდარღვევა, დანაშაული. სწორედ აქეთ არის მიპყრობილი ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ყურადღება. დღეს საბჭოთა მილიციის ორგანოების გვერდით წესრიგის დაცვის სადარაჯოზე დგანან ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, რომელიც მრავალ ათას კაცს აერთიანებს. სამართალდარღვევებთან ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების კანონიერებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დაცვის კომისიები, საწარმოთა პროფილაქტიკის საბჭოები, წესრიგის დაცვის მიკროორაიონების საყრდენი პუნქტები, ამხანაგური სასამართლოები, არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციები, მშრომელთა სხვა ნებაყოფლობითი ფორმირებანი.

საბჭოთა საქართველოს მილიციის სამოცი წლისთავი, რომელიც უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის კითარებაში ჩატარდა 1981 წლის 26 ივნისს, მთელი რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა. და ეს შემთხვევითი როდია. „საბჭოთა მილიციის ძალაა, — ნათქვამია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს მილოცვაში რესპუბლიკის მილიციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, — მილიციის უმჭიდროესი კავშირი ხალხთან, საზოგადოებასთან, რომ მას ყოველდღიურად ხელმძღვანელობს და მის საქმიანობას ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური

კომიტეტი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი".[3]

„...დღესასწაულმა კარგად ჩაიარა, — ასეთი შეფასება მისცა ჩვენს ზეიმს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — განაცხადა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს საბჭოთა მილიციის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, — როცა აღნიშნა, რომ ჩვენმა იუბილემ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ცხადყო, თუ რაოდენ შედუღაბებულნი არიან საბჭოთა ადამიანები, რაოდენ ერთიანია ჩვენი აზრები, საქმენი და ოცნებანი, დღეს ამ სიტყვებს მინდა დავსძინო: იმაში, რომ დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა, თავისი ამაგი მიუძღვის ჩვენს მილიციასაც, ისევე როგორც ყველა ჩვენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლებმაც სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი უზრუნველყვეს მთელი დღესასწაულობის დროს".[4]

საქართველოს საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობა ამ დიდ შეფასებას უპასუხებს ახალი შრომითი წარმატებებით, მთელი ენერგიით იბრძვის იმისათვის, რომ განუხრელად შეასრულოს სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები, რომ მათი მოქმედება სიმკაცრისა და სიმტკიცის მიუხედავად მუდამ იყოს კანონიერი, სამართლიანი და გასაგები მშრომელებისათვის. ამ წარმატებას კი საფუძვლად უდევს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვა და მშრომელი მასების ფართო მხარდაჭერა.

---

[3] გაზ. „კომუნისტი", 1981 წ. 26 ივნისი.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1981 წ. 28 ივნისი.

# გამომძიებელი

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებში მამაკაცებთან ერთად ენერგიულად იღვწიან იურისტი ქალებიც.

ამ წერილში გაგაცნობთ ახალი თაობის ნიჭიერი იურისტი ქალის საქმიანობას.

ლიანა კრავეიშვილმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა 1968 წელს დაიწყო. 1975 წლიდან კი თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელია. გამომძიებლის პროფესია კი მრავალ უცნობ ამოცანათა განუწყვეტელ ამოხსნას მოითხოვს, რომელიც ოპერატიულად და, რაც მთავარია, შეუცდომლად უნდა შესრულდეს, რადგან მასზე ადამიანის ბედია დამოკიდებული.

გამოძიების ეს სირთულე კარგად აქვს შეგნებული ლიანას. საქმეს უადვილებს შრომისმოყვარეობა, დიდი ენერგია და ჰეშმარიტების დადგენის დაუცხრომელი სურვილი. იგი საოცრად მომხიბლავი ქალია, პირველად გაგიკვირდებათ კიდეც, ეს პროფესია რომ აურჩევია, საუბრის შემდეგ კი ბუნებით ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ჩვენ თან გვდევს დაზარალებულთა, მათი მშობლების, დებისა და ძმების, ნათესავთა და მეგობართა ცრემლიანი თვალები, ცხოვრებიდან წასულ ადამიანთა სახეები, უბედური მშობლები. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ზოგჯერ დამნაშავე არ არის დადგენილი, ან მიმალულია. ჩვენ წამიერი დაყოვნების უფლებაც არა გვაქვს. თითოეულ საქმეს კვირეების, თვეების შეუპოვარი შრომა, ფიქრი, ძიება სჭირდება, — ამბობს გამომძიებელი.

ხელა ვფურცლავ მის დაუმთავრებელ საქმეებს.

— გული მელევა, როცა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისა და გასაღების საქმეებს ვიძიებ ხოლმე, —განაგრძობს ლიანა, — ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამანადგურებელ შედეგებზე. ამ გაუკუღმართებულ ადამიანთა შემაზრზენად მძიმე ცხოვრებაზე ალბათ ყველა პატიოსანი ადამიანი დაფიქრებულა. როცა მათთან ვსაუბრობ, უაზრო თვალებით უსასრულობაში იცქირებიან. თითქოს არარსებული სამყაროდან მოსულან ისინი. ნარკომანი ქურდი, ნარკომანი მძარცველი, ნარკომანი მკვლელი — აი დამნაშავეთა წრე. ადამიანები კი ერთმანეთისათვის ვაგებთ პასუხს, ეს ჩვენი საზოგადოების დაწერილი და დაუწერელი კანონია. იმაზე მძიმე და გულის სიღრმემდე შემაშფოთებელი, დამაფიქრებელი რა უნდა იყოს, როცა დამნაშავე არასრულწლოვანს ითრევს დანაშაულში.

სისხლის სამართლის საქმე № 942, აღძრული ვლადიმერ ა-ძისა და სხვათა მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ვლადიმერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი იყო, ცოლშვილიანი, დანარჩენი ოთხი ბრალდებული კი არასრულწლოვანი, 147-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები არიან. ოთხივეს შეუბღალავი რეპუტაციის მშობლები ჰყავთ. უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა ვლადიმერ ა-ძემ დამნაშავეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. დაუკავშირდა მეზობლად მცხოვრებ გ. ბასილაშვილს, მისი საშუალებით კი დანარჩენ სამ არასრულწლოვანს. ხუთივემ მოკლე ხანში მრავალი „საგმირო“ საქმე ჩაიდინა, ბინები გაქურდეს, ნივთები მოიპარეს.

შემდეგ ბავშვები ნაძარცვ ნივთებს ნაცნობ-მეგობრებში ხელსაყრელ ფასებში ყიდიან, არავინ დაეჭვებულა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაქურდალს თავიანთი სკოლის სარდაფში ინახავდნენ. საქმეში ჩაკრულია სკოლის ზერელე დახასიათებები. მართლმსაჯულება განხორციელდა, დამნაშავენი დაისაჯნენ.

ლიანა კრავეიშვილს უყვარს თავისი პროფესია. ბევრს მუშაობს, კითხულობს ამბალ იურიდიულ ლიტერატურას, იმაღლებს ცოდნას, ოსტატდება.

— როგორ გესმით ბედნიერება და ხართ თუ არა ბედნიერი? — ვეკითხები გამომძიებელს.

— ერთ რამეში წინასწარ შევთანხმდეთ, — ღიმილს ვერ მალავს ლიანა, — ადამიანის შესაძლებელი ბედნიერება არ შეიძლება უკავშირო ძაფი იყოს. ბედნიერება დაკავშირებულია სიხარულთან, ბედნიერება შრომითა და სიყვარულით მინიჭებული სიხარულია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მაინც არასრული წარმოდგენაა ბედნიერებაზე. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და იგი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ მის ირგვლივ მრავალნი განსაცდელში არიან და ხშირად იტანჯებიან კიდეც. დამნაშავესთან უშუალო კონტაქტის დროს არცთუ იშვიათად ვაღწევ გულახდილობას, ეს მწარე და ტკივილნარევი გულახდილობაა, ხშირად პირადი, ოჯახის მოუშუშებელი ჭრილობის საქვეყნოდ გაშიშვლებაა და დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს. სწორედ ამ დროს ერთი აზრი მიტრიალებს ხოლმე — შეძლებისდაგვარად მინდა ადამიანს სინათლისაკენ ვუბიძგო.

საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობამ, საქმისათვის უდიდესმა პასუხისმგებლობამ მედეგი არ დააყოვნა: ლიანა კრავეიშვილს ჯერ არც ერთი საქმე არ დაბრუნებია სასამართლო ორგანოებიდან ხელახალი ძიებისათვის, არასდროს დაურღვევია საგამოძიებო ვადები, არ ჰქონია სისხლის სამართლის საქმის უკანონო აღძვრისა და უკანონო პასუხისგებაში მიცემის შემთხვევა. სათქმელი ბევრია და საქმე ულევი. გზა კი დიდია და პატიოსნად გასავლელი.

ლ. ჭანტურია.

# ეკონომიკური ბრძოლა

**1. სახალხო მოხმარების საქონელი ან საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია თუ დაზიანდა გადაზიდვის პროცესში კონტეინერის ისეთი უწესივრობის გამო, რომელიც აშკარა ხასიათისაა და თვალით შესამჩნევი, პასუხისმგებლობა ტვირთის გამგზავნს უნდა დაეკისროს.**

საწარმოო აგრარულ-ქიმიურ-ფარმაცევტულმა გაერთიანებამ „საქქიმფარმპრეპარატები" საფთიაქო სამმართველოს გორკის საფთიაქო საწყობს გაუგზავნა მედიკამენტები.

ტვირთის მიმღებმა საწყობმა სახელმწიფო არბიტრაჟს მიმართა სარჩელით გაერთიანებისათვის 945 მანეთის გადახდევინების შესახებ, რაც შეადგენს დანაკლისისა და ტრანსპორტირების პროცესში დასველებული მედიკამენტების ღირებულებას.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა.

საქმის მასალების შესწავლით გამოირკვა შემდეგი: კონტეინერი, რომელშიც ჩატვირთული იყო მედიკამენტები, რკინიგზის მიერ მიმღებისათვის გაცემულია წესივრულ მდგომარეობაში, გამგზავნის წესივრული პლომბებით, რაზეც რკინიგზის ზედდებულის სათანადო გრაფაში გაკეთებულია აღნიშვნა.

საქმის განხილვის დროს მოპასუხემ ცნო სარჩელი დანაკლისის ნაწილში, ხოლო ტვირთის დაზიანების (გაფუჭების) ნაწილში მოთხოვნა უარყო იმ მოტივით, რომ მან მედიკამენტები ჩატვირთა წესივრულ კონტეინერში, რაც გამორიცხავდა ტვირთის დასველებას.

მოპასუხის განცხადება სახელმწიფო არბიტრაჟმა არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო.

1. ტვირთი დატვირთა არა რკინიგზამ, არამედ გამგზავნმა.
2. ტრანსპორტირების პროცესში ტვირთისთვის ხელი არავის უხლია და მიმღებს იგი ჩაბარდა წესივრულ მდგომარეობაში.

მაშასადამე, მედიკამენტები გაფუჭდა ტვირთის გამგზავნის ბრალით, ვინაიდან უკანასკნელმა არ მიიღო სათანადო ზომები გადასაზიდი საშუალების შესასწავლად და მედიკამენტების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად არ გამოიყენა წყალგაუმტარი დამცველი საშუალებანი.

გაერთიანების საჩივარი მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ უშედეგოდ იქნა დატოვებული.

**2. სამეურნეო დავების განხილვის წესების 75-ე მუხლით სახელმწიფო არბიტრაჟმა სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს, თუ მაძიებელი საპატიო მიზეზის გარეშე არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ გამოთხოვილ დავის განხილვისათვის აუცილებელ მასალებს.**

რუსეთის „ტანსაცმელვაჭრობის" სავაჭრო ბაზამ სახელმწიფო არბიტრაჟს მიმართა სარჩელით რესპუბლიკური საბითუმო ბაზა „საქტანსაცმელვაჭრობისათვის" და ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკისათვის 4.295 მანეთის გადახდევინების შესახებ, რაც შეადგენს ხელშეკრულებით დაწესებულ ვადაში ნაკლმიწოდებისათვის ჯარიმის თანხას.

სადავო თანხიდან ბაზამ გადასახდელად იცნო 1005 მანეთი. დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვდა დამატებითს დაზუსტებას. ექსპერტიზის აქტის წარმოდგენას მოსარჩელის მხრივ. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო არბიტრაჟის განჩინებით საქმის მოსმენა გადაიდო სხვა დროისათვის, მაგრამ მოსარჩელემ განჩინებაში აღნიშნული საბუთები არ წარმოადგინა.

სახელმწიფო არბიტრაჟის განჩინებით სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესების 75-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად იმის გამო, რომ მაძიებელმა არ შეასრულა არბიტრაჟის მოთხოვნა დამატებით წარმოედგინა აუცილებელი საბუთები.

მაძიებლის განცხადება საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინების გაუქმების შესახებ უშედეგოდ იქნა დატოვებული საჩივრის უსაფუძვლობის გამო.

**3. ტვირთის გაცემამდე დანაკლისისა და დაზიანების ოდენობის ან მიზეზების გასარკვევად ანდა იმ თანხის დასადგენად, რომლითაც შეიცვალა ტვირთის ღირებულება, ექსპერტიზა რკინიგზის ინიციატივით ტარდება.**

N საფოსტო ყუთის მიერ სახელმწიფო არბიტრაჟში აღიძრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსათვის 600 მანეთის გადახდევინების შესახებ, რაც დაზიანებული რადიონაკეთობის ღირებულებას შეადგენს.

საქმის მასალების, კერძოდ, კომერციული აქტისა და ექსპერტიზის აქტის შესწავლის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ტვირთი დანიშნულების სადგურში მივიდა გზად გამოვლილი სადგურის პლომბებით, რაც ადასტურებს რკინიგზის ბრალის არსებობას რადიონაკეთობათა დაზიანებაში.

მოპასუხე ეყრდნობოდა ფაქტს იმის შესახებ, რომ ექსპერტიზის აქტი შედგენილი იყო არა კომერციული აქტის შედგენის დღეს, არამედ უფრო გვიან და ამ აქტს უსაფუძვლოდ თვლიდა.

სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 148-ე მუხლის თანახმად, რკინიგზა პასუხს აგებს ტვირთის წესივრული მდგომარეობისათვის მისი გადასაზიდად მიღების მომენტიდან მიმღებისათვის ჩაბარებამდე.

მაძიებლის მიერ დაზიანებულ ნაკეთობათა ღირებულება ზუსტად იყო გაანგარიშებული.

გარდა ამისა, ტვირთის გაცემის წესების 25-ე პარაგრაფის თანახმად ექსპერტიზა მოცემულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს რკინიგზის ინიციატივით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხის განცხადება არ გაიზიარა სახელმწიფო არბიტრაჟმა საქმის არსებითად განხილვის დროს და ქონებრივი პასუხისმგებლობა გადამზიდველს დააკისრა.

**4. სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 151-ე მუხლით გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის დანაკლისისათვის იმ ოდენობით, რა თანხითაც დაქვეითდა მისი ღირებულება.**

რესპუბლიკურმა საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონელმა" აღძრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და ტიუმენის აკუმულატორების ქარხნისათვის 3.782 მანეთის გადახდევინების შესახებ, რაც 27 აკუმულატორის დანაკლისისა და 49 დაზიანებული აკუმულატორის ღირებულებას შეადგენს.

საქმის მასალების შესწავლით დადგენილ იქნა შემდეგი: რკინიგზის მიერ შედგენილი კომერციული აქტი ადასტურებს უწესივრო გადაზიდვის ფაქტს. კერძოდ, დანიშნულების სადგურში მიღებულია ვაგონი პლომბებით, რომლებსაც გაურკვეველი ანაბეჭდი ჰქონდა, რაც არ გამორიცხავს ტვირთის ხელყოფას ტრანსპორტირების პროცესში მისი გადასაზიდად მიღების მომენტიდან მიმღებისათვის ჩაბარებამდე.

ამასთან დაკავშირებით გადამზიდველის მიერ დაკმაყოფილებულია მოთხოვნა ტვირთის დანაკლისის ნაწილში, ხოლო დაზიანების ნაწილში მოპასუხემ უარყო მოთხოვნა, ვინაიდან მაძიებლის მიერ არ იყო დადგენილი ფაქტობრივი ზარალის თანხა.

სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 151-ე მუხლით, ტვირთის დაზიანების შემთხვევაში რკინიგზა ანაზღაურებს ზარალს იმ ოდენობით, რა თანხითაც დაქვეითდა მისი ღირებულება. ეს მუხლი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც ითვალისწინებს გადამზიდველის მხრივ ზარალის ანაზღაურებას და არა მისთვის ჯარიმის დაკისრებას (ამ უკანასკნელის ოდენობა წესდებაშია მოცემული). ამიტომ მიყენებული ზარალის ოდენობა ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ტვირთის მიმღების მიერ.

საქმის არსებითად განხილვის პროცესში მაძიებელს დაევალა შესაბამისი გაანგარიშების წარმოდგენა, რაც მას არ შეუსრულებია.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ტვირთის დანაკლისის ანაზღაურების ნაწილში მაძიებელს უარი ეთქვა (რკინიგზის მიერ ამ თანხის ცნობისა და გადარიცხვის გამო), ხოლო ტვირთის დაზიანების ანაზღაურების ნაწილში სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად მაძიებლის მიერ ფაქტობრივი ზარალის დაუდგენლობისა და მისი არბიტრაჟში წარუდგენლობისათვის.

მაძიებლის განცხადება მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

# დანიშვნები

ზურაბ თეიმურაზის ძე დევდარიანი დანიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველოს უფროსად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 სექტემბრის № 659 დადგენილებით იგი დამტკიცებულია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრად.

დაიბადა 1949 წელს, ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1966 წელს დაამთავრა თბილისის 61-ე საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. 1972 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის სრული კურსი და მიიღო სპეციალობა სამართალმცოდნე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა ორგანოებში. 1973 წლიდან 1976 წლამდე ზ. ი. დევდარიანი კომკავშირულ სამუშაოზეა, არის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი. 1976-1978 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 1978-1981 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორად. ზ. ი. დევდარიანი სწავლისა და მუშაობის პერიოდში არაერთხელ იყო არჩეული კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ბიუროს წევრად. დაჯილდოვებულია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1981 წლის ივლისის ბრძანებით პირველი კლასის იურისტი თენგიზ იაკობის ძე მახარაძე დანიშნულია საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანების შესახებ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის განყოფილების გამგედ.

დაიბადა 1951 წელს, 5 იანვარს. 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიიღო სპეციალობა სამართალმცოდნე. მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ლაბორანტად. 1974 წლის 21 ოქტომბრიდან პროკურატურის ორგანოებშია. თანამიმდევრულად იყო: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე. 1979 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალურ აპარატშია. მუშაობს საგამოძიებო სამმართველოს პროკურორად, საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად.

სკკპ წევრია 1976 წლიდან.

არაერთხელ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის მიერ.

# ინფორმაცია



## ადვოკატთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

1981 წლის 29 აგვისტოს ქ.აიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული სასამართლო დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს შემდეგი მოხსენებები:

1. „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით".

2. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება „სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების შემდგომი ამაღლების ღონისძიებების წესახებ" და ადვოკატურის ამოცანები.

3. „კანონმდებლობის პროპაგანდა და ორგანიზაციების იურიდიული შომსახურება — ადვოკატურის მნიშვნელოვანი ამოცანაა".

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქალაქებისა და რაიონების იურიდიულ კონსულტაციათა გამგეებმა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა, სასამართლო დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბჭოს წევრებმა.

კონფერენციას ესწრებოდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ა. კვიწინიამ.**

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ინსტიტუტის დირექტორმა **გ. როინიშვილმა.**

კონფერენციას ესწრებოდნენ რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრები, საზოგადოებრივი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრები, ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციების გამგეები, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრები.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ განხილულ საკითხებზე შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც დაეგზავნა რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის იურიდიულ კონსულტაციას.

## პროკურატურის ახალგაზრდა მუშაკთა ერთწლიანი რესპუბლიკური სკოლა

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის 1981 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის (1979) გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურატურის ორგანოებში ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით შეიქმნა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის ერთწლიანი რესპუბლიკური სკოლა.

სკოლის რექტორად დამტკიცებულია საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ბარაბაძე.** პრორექტორად — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი **ზ. კვირკველია.** პასუხისმგებელ მდივნად — კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე **გ. მთვარელიძე,** მეცნიერ კონსულტანტად — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ლ. ალექსიძე.** სკოლა ამუშავებს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის მეთოდური ხელმძღვანელობით.

დამტკიცებულია 1981-1982 სასწავლო წლის მეცადინეობის პროგრამა.

ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის რესპუბლიკური სკოლის პირველი მეცადინეობა გაიმართა 1981 წლის 9 ოქტომბერს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა სკოლის რექტორმა **ა. ბარაბაძემ.** მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა სოციალისტური სახელმწიფოებრივობის, დემოკრატიის და მართლწესრიგის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების შესახებ" გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა **გ. ინწკირველიამ.**

მოხსენებით თემაზე — „სკკპ ცკ 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად ქალაქების და რაიონების პროკურატურის ორგანოების მუშაობის ორგანიზაცია და რესპუბლიკაში სოციალის-

ტური კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცება და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერება", გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურატურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **დ. ჩიტლოვი.**

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი **ზ. კვირკველია** მსმენელებს ესაუბრა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მნიშვნელოვან ბრძანებებზე და მითითებებზე. პრაქტიკული მეცადინეობები მიეძღვნა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების, პროცესუალური აქტების შედგენის საკითხებს.

ქ. თბილისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა **ო. ნიკოლაიშვილმა** მსმენელებს გაუზიარა თავისი მუშაობის გამოცდილება. ამავე დღეს სკოლის მსმენელები შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს.

ახალგაზრდა სპეციალისტთა სკოლის ვაჰსნას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს სსრ პროკურატურის ვეტერანთა საბჭოს წევრები და სხვ.

სკოლის პირველ მეცადინეობას დაეთმო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სპეციალური გადაცემა.

ჩატარდა სკოლის მეორე მეცადინეობაც, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტის კათედრის გამგემ **გ. ანაშკინმა,** რომელსაც მსმენელები გულთბილად შეხვდნენ.

**ზ. მთვარელიძე,**
**საქართველოს სსრ პროკურატურის კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე.**

## დაჯილდოება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1980 წლის 27 ოქტომბრის № 715-ლ ბრძანებით, პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი **ჯიმშერ მიხეილის ძე ვაშაკიძე** დაჯილდოებულია „პროკურატურის საპატიო მუშაკის" სამკერდე ნიშნით.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის **ა. მ. რეკუნკოვის** დავალებით საქართველოს სსრ პროკურორმა **ა. მ. ბარაბაძემ** საზეიმო ვითარებაში გადასცა ჯ. მ. ვაშაკიძეს სამკერდე ნიშანი და სიგელი, გულთბილად მიულოცა ჯილდო და უსურვა ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები მართლწესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

**გ. გეგეჭკორი,**
**იურიდიულ მეცნერებათა კანდიდატი.**

**ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქცია გულითადად ულოცავს ჯ. მ. ვაშაკიძეს „პროკურატურის საპატიო მუშაკის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოებას.**

ოფიციალური მასალა



# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ

### კარი I

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ.** სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სასამართლოები.

საქართველოს სსრ სასამართლოები არიან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

**მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა სასამართლო წყობილების შესახებ.** საქართველოს სსრ სასამართლო წყობილებას განსაზღვრავს სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კონსტიტუცია, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, აჭარის ასსრ კონსტიტუცია, სსრ კავშირში სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები, ეს კანონი და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტები.

**მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები.** მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს საქმიანობა მიზნად ისახავს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტკიცებას, დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცდენას და მისი ამოცანაა დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან:

სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით, აჭარის ასსრ კონსტიტუციით განმტკიცებული საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები;

სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით,, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით, აჭარის ასსრ კონსტიტუციით და საბჭოთა კანონებით გამოცხადებული და გარანტირებული მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები;

სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით საბჭოთა მოქალაქეებს ზრდის სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის, აჭარის ასსრ კონტიტუციისა და საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

სისხლისსამართლებრივი სასჯელის ზომების გამოყენებით სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას.

**მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხ-**

**ხლის სამართლის საქმეთა განხილვის გზით.** მართლმსაჯულება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება:

1) სასამართლო სხდომებზე იმ დავის შესახებ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომელიც ეხება მოქალაქეების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს;

2) სამსჯავრო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და იმ პირთათვის, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში, კანონით დაწესებული სასჯელის ზომის შეფარდების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

**მუხლი 5. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე.** საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

**მუხლი 6. მოქალქეთა სასამართლო დაცვის უფლება.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორად სარგებლობენ სასამართლო დაცვის უფლებით.

**მუხლი 7. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით.** საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის სრული შესაბამისობით. საქართველოს სსრ სასამართლოებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ გამოიყენონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

**მუხლი 8. ყველა სასამართლოს შექმნა არჩევითობის საწყისებზე.** საქართველოს სსრ ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

**მუხლი 9. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ანგარიშვალდებულება.** მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან ამომრჩეველთა ან იმ ორგანოების წინაშე, რომლებმაც ისინი აირჩიეს, და ანგარიშს აბარებენ მათ.

**მუხლი 10. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიური განხილვა ყველა სასამართლოში.** სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხორციელდება კოლეგიურად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქმე განიხილება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

შესაბამისი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებში საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვა ხორციელდება სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით.

სასამართლოს პრეზიდიუმი საქმეებს განიხილავს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობის დასწრებით.

სასამართლოს პლენუმი საქმეებს განიხილავს მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის დასწრებით.

**მუხლი 11. სახალხო მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლებები მართლმსაჯულების განხორციელების დროს.** სახალხო მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელების დროს სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

**მუხლი 12. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება.** მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

**მუხლი 13. ენა, რომელზეც სამართალწარმოება ხორციელდება.** სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე, საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება და სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

**მუხლი 14. საქმეთა ღია გარჩევა ყველა სასამართლოში.** საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

**მუხლი 15. ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა.** ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

**მუხლი 16. ადვოკატურის მიერ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა.** სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს იურიდიულ დახმარებას უწევენ ადვოკატები.

ადვოკატების მიერ იურიდიული დახმარების გაწევის წესს, აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში მონაწილე ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში — სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

**მუხლი 17. პროკურორის ზედამხედველობა სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს კანონების შესრულებისადმი.** სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორი და ქვემდგომი პროკურორები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის საფუძველზე და ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ ზედამხედველობას სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს კანონების შესრულებისადმი.

პროკურორი ხელს უწყობს სასამართლოს ამოცანათა განხორციელებას მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის მკაცრი დაცვით.

**მუხლი 18. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა სამართალწარმოებაში.** სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დაიშვება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

**მუხლი 19. სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა.** საქართველოს სსრ სასამართლოების ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში და წესით ახორციელებენ:

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო — საქართველოს სსრ სასამართლოებისადმი;

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებისადმი, თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსადმი და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისადმი;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება— რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისადმი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება:

1) შეიმუშავებენ წინადადებებს სასამართლოების ორგანიზაციის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

2) ხელმძღვანელობენ სასამართლოების კადრებთან მუშაობას;

3) ამოწმებენ სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციას;

4) შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ამასთან ახდენენ ამ საქმიანობის კოორდინაციას შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსთან;

5) ორგანიზაციას უწევენ სასამართლო სტატისტიკის წარმოებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წარდგინება საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეფარღვების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებათა მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმას-

რულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება მოწოდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასამართლოთა ამოცანების განხორციელებას მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის მკაცრად დაცვით.

## კარი II

## სასამართლოს სისტემა

## თავი I

## რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები

**მუხლი 20. საქართველოს სსრ სასამართლოები.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლო და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები — საქართველოს სსრ სასამართლო სისტემაა.

## თავი II

## რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები

**მუხლი 21. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნა.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო შეიქმნება რაიონში, ქალაქში (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით შეუძლია შექმნას ერთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო რაიონისა და ქალაქისათვის.

**მუხლი 22. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევის წესი.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში ღია კენჭისყრით ორნახევარი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ".

**მუხლი 23. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შემადგენლობა.** რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ირჩევენ სახალხო მოსამართლის (სახალხო მოსამართლეების) და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

ორი ან მეტი სახალხო მოსამართლის არჩევის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო სესიაზე არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ საკითხზე წარდგინება შეაქვთ შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს.

**მუხლი 24. სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების რაოდენობა.** თითოეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსათვის მოსამართლეთა რაოდენობას აწესებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო

დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით.

**მუხლი 25. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს უფლებამოსილება.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო განიხილავს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით სხვა სასამართლოს გამგებლობას განეკუთვნება.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო ან სახალხო მოსამართლე განიხილავს საქმეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სამართლებრივ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს, აგრეთვე ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 26. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე:

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს: ნიშნავს სახალხო მოსამართლეებს სასამართლო სხდომების თავმჯდომარედ; ანაწილებს სხვა მოვალეობებს სახალხო მოსამართლეთა შორის;

2) ორგანიზაციას უწევს სახალხო მსაჯულებთან მუშაობას;

3) აწარმოებს პირად მიღებას, ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

4) ხელმძღვანელობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას და სასამართლო სტატისტიკის წარმოებას; შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

5) წარადგენს დასანიშნავად სასამართლოს აღმასრულებლებს და ორგანიზაციას უწევს მათ მუშაობას;

6) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის, აგრეთვე სახალხო მსაჯულების სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობას, ამხანაგური სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას;

9) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოსილებას.

თუ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში არჩეულია ერთი სახალხო მოსამართლე, იგი ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

**მუხლი 27. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის შეცვლა მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, შვებულება და ა. შ.) მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ სახალხო მოსამართლეს.

სახალხო მოსამართლის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს.

**მუხლი 28. სახალხო მსაჯულთა საბჭო.** რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან იქმნება სახალხო მსაჯულთა საბჭო.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს ორგანიზაციას, ამოცანებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

## თავი III

## თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო

**მუხლი 29. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს არჩევის წესი და ანგარიშვალდებულება.** თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ირჩევენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო ხუთი წლის ვადით შემდეგი შემადგენლობით: თბილისის საქალაქო სასამართლოს — თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს — თავმჯდომარის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს შესაბამისად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოს წარუდგენენ ანგარიშებს თავიანთი საქმიანობის შესახებ და სისტემატურად მოახსენებენ მას ამ საქმიანობის თაობაზე.

**მუხლი 30. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს შემადგენლობა.** თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო მოქმედებენ შემდეგი შემადგენლობით:

1) სასამართლოს პრეზიდიუმი;
2) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
3) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

**მუხლი 31. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს უფლებამოსილება.** თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო:

თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ახორციელებენ რა ზედამხედველობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე, აგრეთვე შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას.

ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 32. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმები.** თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას შესაბამისად ქა-

ლაქ თბილისის პროკურორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 33. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების უფლებამოსილება.** თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმები:

1) თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებენ სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავენ სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) მოისმენენ სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ: განიხილავენ სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) დახმარებას უწევენ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენენ ამ საქმიანობის კოორდინაციას შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებასთან;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 34. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების მუშაობის წესი.** თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმებს იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ.

პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრების უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმის უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 35. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიები.** თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებსა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებს ამტკიცებენ შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების ან წევრების რიცხვიდან ამტკიცებს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთა წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევაში თავიანთი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 36. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება.** თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 37. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავ-

მჯდომარე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია ითავმჯდომარეოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით, პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება.

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) წარუდგენს ანგარიშებს სასამართლოს საქმიანობის შესახებ და მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლას და განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

9) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

10) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის.

**მუხლი 38. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები.** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან ითავმჯდომარეონ კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

**მუხლი 39. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები.** თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი მისი დავალებით შეიძლება განახორციელოს საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა ერთ-ერთმა თავმჯდომარემ.

## თავი IV

## აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები

**მუხლი 40. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღ-

ლესი სასამართლოები შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოებია და ახორციელებენ ზედამხედველობას ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი და ანგარიშვალდებულება.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო თავისი უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 42. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

1) უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

2) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

3) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

**მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ახორციელებს რა ზედამხედველობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე, აგრეთვე შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის და აჭარის ასსრ კონსტიტუციის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში.

**მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და უმაღლესი სასამართლოს წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) ისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) განიხილავს და გადაწყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ხოლო ავტონომიური რეს-

პუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში — ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტების თაობაზე;

6) დახმარებას უწევს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან;

7) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის წესი.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრების უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია ითავმჯდომარეოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლოს საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება.

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე:

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ და მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

7) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

8) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

9) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

10) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში.

11) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 50. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

1) უფლებამოსილია ითავმჯდომარეოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებს სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

**მუხლი 51. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებზე იმ კოლეგიებში, რომელთაც ხელმძღვანელობენ ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლო წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

## თავი V

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

**მუხლი 52. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს სსრ სასამართლო საქმიანობაზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 53. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი და ანგარიშვალდებულება.** საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით წევრის უფლებებით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 54. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების დამტკიცების წესი.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა რიცხვიდან

ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეებს.

**მუხლი 55. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

1) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

3) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

4) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

**მუხლი 56. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სასამართლო სტატისტიკას და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს სასამართლო საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი სავალდებულოა სასამართლოებისათვის, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც იყენებენ განმარტებულ კანონს;

ახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

**მუხლი 57. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის შემადგენლობით.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ საქართველოს სსრ პროკურორი და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი. საქართველოს სსრ პროკუროროის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეებმა, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

**მუხლი 58. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის შესწავლისა და განზოგადების მასალებს, აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებებს და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის საკითხების განხილვისას მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას და პლენუმის მდივანს;

3) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს;

4) განიხილავს და წყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში — კანონების განმარტების თაობაზე;

5) ისმენს ინფორმაციებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის თაობაზე;

6) განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობასთან და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებების შეუსაბამობის შესახებ;

7) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 59. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად შეტანილი საკითხების განხილვა.** ამ კანონის შესაბამისად პლენუმის განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ პროკურორის ან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილ საკითხებზე მოისმენენ შესაბამისად მათ მოხსენებებს ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მოხსენებებს. ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინიტროს მიერ განსახილველად შეტანილ საკითხებზე საქართველოს სსრ პროკურორი აძლევს დასკვნას. ამ საკითხების განხილვაში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ პლენუმის სხდომებზე მოწვეულმა პირებმა.

სახელმძღვანელო განმარტებათა შესახებ დადგენილების პროექტის მომზადებისათვის პლენუმი საჭიროების შემთხვევაში პლენუმის წევრთა რიცხვიდან ქმნის სარედაქციო კომისიას.

**მუხლი 60. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მუშაობის წესი.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ ოთხ თვეში ერთხელ მაინც. პლენუმის მოწვევის დროისა და მის განსახილველად შეტანილი საკითხების შესახებ პლენუმის წევრებს, საქართველოს სსრ პროკურორს და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს აცნობებენ არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა სხდომამდე.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, საქართველოს სსრ პროკურორს და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს არა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პლენუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პლენუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ეწევა ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ოქმის შედგენას და ასრულებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განსახორციელებლად საჭირო მოქმედებებს.

**მუხლი 61. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების შემადგენლობით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ერთხელ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის შემადგენლობის უმრავლესობა.

პრეზიდუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 62. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

3) განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებისა და აპარატის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;

4) დახმარებას უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან;

5) განახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 63. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განხილვისათვის ჩაბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 64. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 65. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

2) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

3) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

4) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს და მის განსახილველად შეაქვს საკითხები, რომლებიც პრეზიდიუმის გადაწყვეტას საჭიროებენ, თავმჯდომარეობს მის სხდომებზე; შეუძლია ითავმჯდომარეოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ნებისმიერი საქმის განხილვისას;

5) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლას და განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს მუშაობას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტე-

ბათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად და შეაქვს მასალები პლენუმის განსახილველად;

6) საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ და მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

7) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პოეზიდიუმში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ კანონების განმარტებას მოითხოვენ;

8) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე შეაქვს წარდგინებები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობასთან ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებების შეუსაბამობის შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ წარდგინების უარყოფის შემთხვევაში შეაქვს წარდგინება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, თუ პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებს, ანდა შეაქვს წარდგინება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, თუ პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება არ შეესაბამება საქართველოს სსრ კანონმდებლობას;

9) ანაწილებს მოვალეობებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

10) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

11) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

12) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 66. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან ითავმჯდომარეონ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედიან სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილი არიან შეაჩერონ სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

4) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა და აპარატის სტრუქტურული ქვეგანაყოფების მუშაობაზე;

5) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

**მუხლი 67. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიაში, რომელსაც ხელმძღვანელობენ, ან ამისათვის ნიშნავენ სასამართლოს წევრებს;

2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

3) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

4) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან მოითხოვონ სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ორგანიზაციას უწევენ მუშაობას შესაბამისი სასამართლო კოლეგიის სასამართლო წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 68. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო გამოსცემს „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენს“.

## კარი III

## მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები

**მუხლი 69. მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნები.** მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება არჩეულ იქნენ მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორად.

**ნუხლი 70. სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად სახალხო მსაჯულების მოწვევის ვადა.** სახალხო მსაჯულებს სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მოიწვევენ რიგ-რიგობის წესით ვადით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის დასამთავრებლად.

**მუხლი 71. სახალხო მსაჯულებისათვის ხელფასის შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს.** სახალხო მსაჯულებს მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს ენახებათ საშუალო ხელფასი მუდმივი სამუშაო ადგილის მიხედვით.

სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ არიან მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები, სასამართლოში მათი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით აუნაზღაურდებათ ხარჯები. ანაზღაურების წესსა და ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

**მუხლი 72. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა.** მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება ჩამოერთვათ იმ შემთხვევაში, თუ მათ გაიწვევენ ამომრჩევლები ან მათი ამრჩევი ორგანო, ანდა თუ მათ მიმართ გამოტანილია სასამართლო განაჩენი.

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ, თუ მათ არ გაამართლეს ამომრჩეველთა ან მათი ამრჩევი ორგანოს ნდობა, ან ჩაიდინეს მოსამართლისა თუ სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასტურებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

**მუხლი 73. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლება.** საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები უფლებამოსილების ვადის დამთავრებამდე თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან შეიძლება განთავისუფლდნენ ხანგრძლივ ავადმყოფობასთან დაკავშირებით, აგრეთვე მათი თხოვნით, — სხვა საპატიო მიზეზის გამო.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ვადამდე გაანთავისუფლებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ვადამდე გაანთავისუფლებენ მოქალაქეთა კრებებზე სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში, სადაც ისინი არჩეული იყენენ სახალხო მსაჯულებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

**მუხლი 74. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევა გამოკლებულთა ნაცვლად.** საქართველოს სსრ სასამართლოების ცალკეული მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების გამოკლების შემთხვევაში დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ტარდება სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნები.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევა გამოკლებულის ნაცვლად ტარდება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს გამოკლებულის ნაცვლად ირჩევს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს გამოკლებულის ნაცვლად ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს გამოკლებულის ნაცვლად ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

**მუხლი 75. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობა.** მოსამართლეები, აგრეთვე სახალხო მსაჯულები სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს არ შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებული ან დასჯილნი სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელით:

1) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, აგრეთვე ამ სასამართლოს სახალხო მსაჯულები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში —საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

**მუხლი 76. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა.** საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეებს ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

## კარი IV

## საქართველოს სსრ სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის სხვა საკითხები

**მუხლი 77. სასამართლოს აღმასრულებელი.** სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას, სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებენ სასამართლოს აღმასრულებლები.

სასამართლოს აღმასრულებლები იმყოფებიან სასამართლოებთან და მათ ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი.

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში, სადაც ორი და მეტი სასამართლოს აღმასრულებელია, ერთ-ერთი მათგანი დაინიშნება უფროს აღმასრულებლად.

სასამართლოს აღმასრულებლის მოთხოვნები სასამართლოს იმ განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების, სხვა გადაწყვეტილებისა და დადგენილების აღსრულების შესახებ, რომლებიც აღსასრულებელია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციის, მისი გაერთიანების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირის და მოქალაქისათვის.

**მუხლი 78. საქართველოს სსრ სასამართლოების აპარატის სტრუქტურა და საშტატო რაოდენობა.** მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების და სხვა საქმიანობისათვის სასამართლოების მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სასამართლოებში მოქმედებს სასამართლო აპარატი.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ადგენენ შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსათვის დადგენილი წესით გამოყოფილი საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს აპარატების

სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდის მუშაობის ჩასატარებლად და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს და განყოფილებებს ჰყავთ უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მუშაკები და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საშტატო განრიგებს და დებულებებს განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 79. საქართველოს სსრ სასამართლოების ბეჭედი.** საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

# ანდრო გელოვანის ხსოვნას



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ანდრო გელოვანი.

ქუთაისის სათავადაუზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ა. გელოვანი სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და 1928 წელს წარმატებით ამთავრებს მას.

ა. გელოვანი ერუდირებული და მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო, ჯერ კიდევ 1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მან წაიკითხა ლექცია თემაზე — „საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო პოლიტიკა", რამაც ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ერთხმად აღინიშნა, რომ თემა შესანიშნავად იყო შესწავლილი და დამუშავებული, შესაფერი მასალების და მონაცემების ღრმა ანალიზით გაშუქებული იყო საერთაშორისო სამართლის მეტად რთული პრობლემები.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ა. გელოვანი მუშაობას იწყებს ჯერ სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში — კონსულტანტად.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ 1930 წლიდან დაახლოებით 40 წლის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა დამუშავებული არც ერთი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის პროექტი სისხლის სამართლისა თუ სისხლის სამართლის პროცესში, რომლის აქტიური მონაწილე ა. გელოვანი არ ყოფილიყო.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებაში, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აწ განსვენებული თ. ვ. წერეთელი ხელმძღვანელობდა, ანდრო გელოვანს აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობა აქვს ნაღებული, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი თავი უშუალოდ მან დაამუშავა და შემდგომში მოიწონა კომისიამ.

1939 წელს ა. გელოვანი შედის ადვოკატთა კოლეგიაში და მის შემდეგ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის უცვლელი წევრია.

ა. გელოვანი საადვოკატო პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად საინტერესო მუშაობას ეწევა საკანონმდებლო სიახლეთა ძიებასა და კოდიფიკაციაში, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მას არ შეუწყვეტია თეორიული მუშაობა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური პრობლემების შესწავლა-დამუშავებაში.

ამ მეოთხედი საუკუნის წინ მან გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ნაშრომი ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანიზებულ დანაშაულობათა შესახებ.

ა. გელოვანმა მისთვის დამახასიათებელი სიღრმით დაამუშავა საკითხი ვ. ი. ლენინის საადვოკატო საქმიანობის შესახებ. ამ ნაშრომის ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა სამართალში".

ა. გელოვანმა მოამზადა მონოგრაფია სისხლის სამართლის პროცესის შესახებ. მისი ერთი თავი „საადვოკატო ეთიკის ზოგიერთი საკითხი" 1971 წელს ცალკე წიგნად დასტამბა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ". ეს არის შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია ორიგინალური დებულებები დაცვის ხელოვნების, დაცვის ტაქტიკისა და დაცვის ზნეობრიობის შესახებ. იგი ყველა იურისტისათვის ყოველდღიური სახელმძღვანელო, სამაგიდო წიგნია. განსვენებულს ბევრი სტატია აქვს გამოქვეყნებული ცენტრალურ იურიდიულ პერიოდიკაში, აგრეთვე ჟურნალ „საბჭოთა სამართალში".

ა. გელოვანს დაუსტამბავი დარჩა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებზე დაწერილი ნაშრომები. მის მეცნიერულ მემკვიდრეობას შესწავლა სჭირდება. დარწმუნებული ვართ, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი და შესაბამისი საგამომცემლო ორგანიზაციები უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ საკითხს. იმას, რასაც ანდრო გელოვანი აკეთებდა, აკეთებდა უანგაროდ, თავისი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით. ქვეყნად ასეთი სიკეთე კი არ უნდა დაიკარგოს.

წავიდა ჩვენგან დიდი მოქალაქე, შესანიშნავი პიროვნება, განსწავლული ადამიანი, რაც კი აწაღლებული მიუცია ბუნებას ადამიანისათვის, ამ კაცში იყო განსახიერებული.

დიდი ხანი იავადმყოფა ა. გელოვანმა, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელი იყო მისი განწირულობა. სასწაული ამჯერადაც არ მოხდა.

საამაყო მეგობრის ანდროს გულის სითბო დიდხანს გაგვყვება მის ახლობლებს, სიკვდილამდე არ გაგვინელდება მისი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება.

**გენო ხომერიკი**

# ცნობები ავტორთა შესახებ

ამირან გედევანის ძე მიქაძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 5 შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ლალი გორისის ასული კუსრაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციის და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 2 მონოგრაფიისა და 40 შრომის ავტორი. სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გივი სტეფანეს ძე ცირამუა — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ქსენია ივანეს ასული ხიდეშელი — საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ზიგერტ ავქსენტის ძე ხაზალია — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

---

## გასწორება

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1981 წლის მეხუთე ნომრის რუსულ შინაარსში ზემოდან მესამე სტრიქონში სათაური უნდა იკითხებოდეს „Одиннадцатой пятилетке — прочный правопорядок и законность“, ხოლო ზემოდან მეათე სტრიქონის ბოლო ფრაზა — „культуры и объекты природы“.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1981 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.